სახალხო ფურცელი

№ 803 პარასკევი 24 თებერვალი 1917 წ. № 803

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: **Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.**

ტელეფონი 12—29

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

სახალხო ფურცელი

კვირეული სურათებიანი დამატებით

ღირს:

ერთი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 3 მ. 75 კ.

ხელის მოწერის ფასის გადახდა შეიძლება **ნაწილნაწილადაც:** ხელის მოწერის დროს 7 მანეთი, პირველ აპრილისთვის 4 მ. და პირველ აგვისტოსთვის 4 მ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

მისამართის გამოცვლა ღირს 50 კ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება—სასახლის ქუჩა, № 6, შესასვლელი ეზოდან.

საფოსტო მისამართი: Тифлисъ, Ред. „Сахалхо Пурцели“, почтов. ящикъ 190.

გულდამწვარნი მშობლები: **ლეონტი ეგნატეს ძე და მარიამ ალექსის ასული ბარკალაია, ძმები: ნიკოლოზი და ლეონიდე და და ელენე, ბებია და ბაბუა: ატატო კონსტანტინეს ასული და ალექსი ნიკოლოზის ძე ქვარცხავა, მამიდა და ბიძა: ოლღა ეგნატეს ასული და გარსევან დიმიტრის ძე გაბუნია და ნათლია სალომე ნიკოლოზის ასული ჭელიძე,** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარი

ალიოშას (ტოტი)

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 ს., დიდუბე, ანდრიევის ტუპიკი, საკუთარი სახლი № 4. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან შაბათს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ს., კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 237

შაბათს, 25 თებერვალს, სოფ. გურჯაანის ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი 16 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაცვალებულის

ნინო პეტრეს ასული ზარდიაშვილისა,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებული მშობლები პეტრე ალექსის ძე და ანასტასია იაკობის ასული, დები: სოფიო და თამარა პეტრეს ასულნი, ძმები: გიორგი და დიმიტრი პეტრეს ძენი იაკობაშვილები. 1968.

იოსებ გრიგორის ძე რომანიშვილი შვილით და სოფიო გრიგორის ასული და ანდრია იულონის ძე დგებუაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ცოლის და დეიდის, ხოლო მეორენი რძლის

მარიამ გიორგის ასული რომანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას სოფ. კავთისხევში (ჩიჟანთ უბანში). დაკრძალვა მოხდება კვირას, 26 თებერვალს, იმავე სოფელში. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 ს. 238

კვირას, 26 თებერვალს, დილის 9-ნახევარ საათზე,

სახალხო სახლში

დანიშნულია

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ტფ. განყოფილების წევრთა კრების გაგრძელება

კრების საგანია გამგეობისა და სარევ. კომის. წევრთა არჩევნები.

დროებითი გამგეობის და კრების თავმჯდომარის მიერ მიღებულია შემდეგი წესი: ყოველი წევრი უნდა ჩაეწეროს შესავალში; ჩაწერის შემდეგ წევრებს მიეცემათ რიგის ნომრები დარბაზში შესასვლელად. არა წევრთათვის ადგილები იქნება ბალკონზე და გალერეიაზე. 1056.

ახალი დიდი ცირკი ახალი დიდი
ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**

დღეს 24 თებერვალს, გაიმართება

დიდი გალა-საჭირითო წარმოდ.

სამის განყოფილებით საცირკო მრავალფეროვან პროგრამით და კორდებალეტით. **დებიუტი** სახელგანთქმულ შეუდარებელ ინგლისელ ტურისტ კომიკას-ექსცენტრიკოსებს ბ. ბ. **კლემენტიკოსებისა.** რაღაც არაჩვეულებრივი, განუწყვეტელი სიცილი. გაგრძელება ფრანგული ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატისა ცირკის დირექტორის **ე. მ. ეფიმოვის** ხელმძღვანელობით. დღეს კენჭი ერგოთ და უნდა იჭიდაოს 3 წყვილმა. პირველი დონის ყაზახი მსოფლიოს ფალავანი იაკობ ალექსანდროვი და ბალტიის მხრის ფალავანი არნოლდი მეორე: ალ. კრაუზე და პეტროგრ. ფალავანი კუდრიავცევი, მესამე: ტფილისელების საყვარელი მსოფლიოს ფალავანი შეველიე-დე-რუდერი და სალვინი. დღის გამოვა ლებედევის (დიადია ვანია) მოწაფე პეტროგრადელი სახელგანთქმული სპორტსმენი პეტრე ელიზბარიჩი. საპარადო გამოსვლა ყველა მოჭიდავეებისა საღამოს $10^1/_2$ საათზე.

ანონსი: ამ დღეებში გაიმართება პირველი დებიუტი პეტროგრადელ მულატებს ბ. ბ. ბაგრიკუკებისა. კვირას, 26 თებერვალს გაიმართება დილის დიდი წარმოდგენა ახლად ჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 24 თებერვალს, 1917 წელს.

სინემატოგრაფი,

სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 9 ს. სტუმრები საზოგადო წესით. 1001

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამის 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. **ტელეფ. 5—77.** 1059

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნო ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევას ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბიაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. **ტელეფონი 5—54.** 1064

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ [illegible] ქ. № 6.

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათ. მისამართი კიროჩნი ქ. 18. ტელეფ. 11-82 216

ექიმი კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 21

საექიმო კაბინეტი ექიმ

კ. ს. ფონ-ირტელის

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფლისისა **ერლიხის პრეპარ.** „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევი

[illegible]

[illegible] № 18—[illegible] 9140

ქუთაისში

ექიმი

მ. ი. ჩხენკელი

იღებს **ბავშვთა და შინაგანი** სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 1051

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჯრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ძლეჭი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი **ფიზიოთერაპიით** და ელექტრონით. თავის ღუში ვენის ტიპისა, დიდი სოლლუქსი, **განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის,** თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და **რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილს 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92.** 683

ექიმმა

ფავლენიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. **გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად.** იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., **№ 36, მეორე** სართული. 1059

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი

გ. გ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5^1/_2$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1008

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ტფილისი, 24 თებერვალი, 1917 წ.

ირონიული პოლიტიკა თუ პოლიტიკური ირონია?

არ შეგვიძლიან რუსეთს ლაპარაკის ქვეყანა ვუწოდოთ, მაგრამ მცირე ლაპარაკი, რომელიც ხდება სხვა და სხვა ნებადართულ კრებასა თუ დაწესებულებაში არავითარ ვალდებულებას არ იწვევს. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც პეტროგრადში სასოფლო ცხოვრების მოსაგვარებლად პალატის კრება ვრცელ პროგრამას არდგენდა, ხოლო უხუცესი მოღვაწე ერმოლოვი საერთო ტაშის ცემით მოითხოვდა სამხედრო ბეგრისაგან მეურნეთა განთავისუფლებას? არც ერთი დებულება საგანგებოდ მოწვეულ კრებისა არავის მოჰგონებია და განხორციელებას ვინ ღა იკისრებდა. კრების მუშაობა უყურადღებოთ იქმნა დატოვებული იმიტომ, რომ რუსეთის ეხლანდელი ცხოვრება წარმოუდგენელად დაქსაქსულია და ადამიანი აღარ მოიპოვება სასარგებლო სახელმწიფოებრივ მუშაობისათვის თავი დასდოს. ომამდე რუსეთის შაქრით გერმანიის და ჰოლანდიის ღორებს ასუქებდნენ, ეხლა უშაქროდ დატოვებულია ფილანდია, სპარსეთი, ერთი ფუთი შაქარიც არ გააქვთ ევროპაში და რუსეთის სამინისტრო კი იძულებული ხდება იაპონიასა და ამერიკიდან შემოიტანოს ოცი მილიონი ფუთი შაქარი. რუსეთი პურის ქვეყანაა, მაგრამ ოფიციალურ წყაროების მიხედვით მდინარე ვოლგას დიდძალი ქალა-ადგილი ვეღარ გამოკვებს მცირედ ლა დარჩენილ მცხოვრებთ და პირუტყვს. მთელი რიგი ხორბლეულის ადგილებია რუსეთში, სადაც პური სანატრელად გარდაქცევიათ და გირვანქა პურის ფქვილში ორ აბაზს იხდიან!

სერიოზულად ამბობენ, რომ რუმინიის და სამხრეთ რუსეთის პროვინციათა კატასტროფით რუსეთი იძულებული იქნება უცხოეთს მიმართოს არა მხოლოდ ფოლადისა და ტყვია-წამლისათვის, არამედ ამერიკის პურიც შემოიტანოს სახელმწიფოშიო.

ასეთი მდგომარეობის წინ იმყოფება ამ ჟამად რუსეთი და სერიოზული ზრუნვაც კი არ არის, რომ 1917 წლის სამეურნეო მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იქმნას დაყენებილი და ხალხი სიმშილით არ იქმნას დახოცილი. ეს მოვლენა და საკითხი იმდენად საყურადღებოა არა მარტო რუსეთისათვის, აგრეთვე ჩვენთვისაც და არ შეგვიძლიან ჩვენი საზოგადოების ყურადღება არ მივაპყროთ მას. რა ზომებით ფიქრობენ რუსეთში სამეურნეო კულტურის დაკმაყოფილებას? უდიდეს ყურადღების საგანია მუშა ხელის სიმცირე, თესლი და სამეურნეო იარაღები. ბიუროკრატია ამ საკითხებს თითქოს აკმაყოფილებს, მაგრამ ისე, რომ მთავრობის პოლიტიკა აშკარა ირონიის ხასიათს იღებს. 1916 წლის სამეურნეო პალატას პეტროგრადში აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა სამხედრო ბეგრიდან ყველა მეურნის განთავისუფლება და ახალ გაწვევის შეწყვეტა სოფლად. ამისათვის მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია და მეურნეთ აიმედებს: ტყვეებსა და გამოქცეულებს მოგახმართო. თესლის საქმე უფრო ადვილად არის მოგვარებული, სიმინდის, პურის და ქვავის მაგიერ სამინისტროს თურმე ბლომად მოეპოვება ბოსტნეულის თესლი, ქინძის, ნიორის, კომპოსტოს და სხ., რომელთაც უხვად სთავაზობს. საქართველოშიაც გამოაცხადა მთავრობამ, რომ ყველა ასეთ თესლს 20 თებერვლამდე თავისუფლად და შეღავათიანად მოგაწვდით სამინისტროს საწყობიდანო. სამეურნეო იარაღისათვის დიდი ზრუნვა აღარ სჭირდება მთავრობას, ვინაიდან მუშა-პირუტყვია საკმაო. ყოველ შეზთხვევაში რუსეთის ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი იუწყებოდა 1914 წელს, რომ ცხენი ირიცხებოდა 19 მილიონი, ხოლო 1916 წ. სამეურნეო აღწერით აღმოჩნდა 22 მილიონი, 1914 წ. ცხვარი იყო 37 მილიონი, 1916 წელს კი—61 მილიონი, მსხვილ-ფეხა პირუტყვი იყო 26 მილიონი, არის—36 მილიონი. ქვეყანა იმას ამბობს და გრძნობს, რომ აღარ მოიპოვება არც ცხენი და არც მუშა-პირუტყვი, ომმა დიდძალი ცხოველი იმსხვერპლა და ქალაქად-სოფლად საარაკო სიძვირეა ხორცისა, რუსეთის სტატისტიკით და აღწერით კი ამ ომის დროს გამრავლებულა ცხენიც, ხარიც და ცხვარიც. მოდით და ასეთ მასალების შემდეგ რუსების პოლიტიკას ნუ ექმნება ირონიულ პოლიტიკის ხასიათი!

შეიძლება რუსეთმა კიდევ მოახერხოს როგორმე ირონიულ პოლიტიკით ხალხის დაკმაყოფილება, მაგრამ ჩვენ პოლიტიკურ და ეკონომიურ ირონიებს ვერ გამოვეკიდებით, იმიტომ რომ 1914—1915 და 1916 წლის განმავლობაში არც ერთი გერმანელი, ავსტრიელი ან თურქი ტყვე არ გვინახავს სოფლის მეურნეობაში რომ ვინმეს გამოეგზავნოს სამუშაოდ ხოლო გამოქცეულები ძალიან ბევრიც არის თუმცა მათ ტფილისის თბილი დარები და გოგირდის წყლებით სარგებლობა უფრო მეტ სიამოვნებას გვრის, ვინემ ალაზნის, მტკვრის და რიონის ნაპირებში მიწის დამუშავება. სამეურნეო იარაღებს ომამდე ვერ ვშოულობდით, ეხლა ამის ოცნება შეუძლებელია, ხოლო ცხენისა და საკლავ საქონლის რეკვიზიციას ბოლო არ ეღება.

ასეთ მდგომარეობაში იძულებული ვხდებით ჩხირ-კედლაობას თავი გავანებოთ და სერიოზული ყურადღება მივაქციოთ მეურნეობისა და მოსავალის საქმეს. ერთად ერთი იმედი, რომ ლურჯ ბილეთიანებს არ გაიყვანენ ომში,—გამტყუნდა. სისტემატიურად აცალიერებენ სოფელს და საზღვარი აღარ უჩანს მსხვერპლს.

არასოდეს არ ვყოფილვართ ისე მძიმე და საშინელ მდგომარეობაში როგორც ეხლა ვართ. ნამდვილად სიმშილი უკვე არსებობს საქართველოში, ხოლო სოფლად ავადმყოფები, მოხუცები და ბავშვები დარჩენილან. ამათი შემყურე ვერ ვიქნებით მომავალში: სულ ორიოდე თვე და მიწის მუშაობის ხანა დაიწყება, მამული გაწმენდას და გადატრიალებას მოითხოვს.

რა ზომებს უნდა მივმართოთ? რამდენად საჭიროა მუშა ხელი, პირუტყვი, რა მოელის ხალხს თუ სოფელს მწარმოებელი ძალა და საშუალებანი არ დაუბრუნდა—აი კითხვები, რომელნიც გარკვეული უნდა იყვნენ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის, კულტურულ დაწესებულებათა კავშირისათვის, პრესისათვის, მაგრამ არავინ, არც ერთი ხსენებული დაწესებულება ამას ყურადღებას არ აქცევს და ტკბილ ძილს მისცემიან. ჩვენ გვჭირია ბრძოლა სოფლის მეურნეობისათვის, ბრძოლა მუშა ხალხისათვის, პირუტყვისათვის. ჩვენ ვერ მივხედავთ რუსეთის მთავრობის და ხალხის მაგალითს, ჩვენ ჩვენი სამშობლო გვაქვს, სხვა ქვეყანა, სხვა ბუნება, სხვა დაწესებულება და მთავრობა. ადგილობრივ მთავრობას სისტემატიურად უნდა ესმოდეს საჭიროება და მოთხოვნილება ჩვენი სოფლისა, უნდა განემარტოს, რომ მკვიდრთა საჭიროების დაკმაყოფილება ამავე დროს სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულებაა, სასურსათო კრიზისის შესუსტებაა, ტრანსპორტის განთავისუფლებაა და სხ.

საქალაქო და საერობო კავშირების ცენტრალურმა ბიურომ უკვე ხელი მიჰყო საკუთარ მეურნეობას და არზრუმის მიმართულებით პურის მოყვანას აპირებს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს ჭალების დამუშავება დიდძალ სიმდიდრეს მოგვცემს და ამისათვის კი იმ მუშა-ხალხის სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლებაა საჭირო—დროებით მაინც—რომელნიც ამ ჭალებს იცნობენ და კარგად დაამუშავებენ. დახმარება სესხით, თესლით და იარაღით მაშინ ნაყოფს მოიტანს.

მდგომარეობა რთულია, სერიოზულია და ვინც საგანგებოდ ამ საქმისათვის არის მოწოდებული, დაარსებული ეხლავე, დროზე მართებს ყურადღების მიპყრობა, რომ სამშობლო მამულის დამუშავების დროშ არ ჩაიაროს ტყუილად.

ქართული პრესა

ქუთაისური გაზ. „ჩვენი მეგობარი“ კვირის კრების შესახებ სწერს:

ახალი კლუბის დარბაზი ტფილისში 19 თებერვალს უჩვეულო სურათს წარმოადგენდა. დილის ათი საათიდან დარბაზი ხალხით გაიჭედა. ამ უჩვეულო კრების მიზეზი იყო იმ დღისთვის დანიშნული ტფილისის წერა-კითხვის საზ. განყოფილების გამგეობის წევრების არჩევნები. დიდი ხნით ადრე დაიწყო მზადება და ყოველი ჯგუფი გასაოცარის ენერგიით აგროვებდა თავის მომხრეთ. თვით არჩევნების დღეს კი გამოირკვა ერთი გარემოება, რომელსაც არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს ადამიანმა. გამოცდილებამ და საარჩევნო სამზადისის პრაქტიკამ დაგვანახა, თუ ვისთან იქნება მუდამ საქმე იმ ჯგუფს, რომლის წინააღმდეგ ირაზმებიან დასელები და მათი მოკავშირე „საქართველოელნი“. წინდაწინვე ცხადი იყო, რომ მათი განწყობილება მოპირდაპირე ჯგუფისადმი იქნებოდა უარყოფითი და ფედე-

რალისტების კანდიდატები მათში თანაგრძნობას ვერ იპოვიდნენ. ამიტომ გადაწყვეტილი იყო კრებაზე საკუთარი სიით მისვლა და თუ დასელები და „საქართველოელები“ შეთანხმებაზე არაფერს იტყოდენ, მაშინ წმინდა სიის გამოქვეყნება. 19 თებერვალს გამოირკვა თავიდანვე, რომ დასელებს მიმხრობოდენ „ახალი პოლიტიკოსები“ ჩვენი ჯგუფის წინააღმდეგ, მხოლოდ თვალის ასახვევად ჩაეტანათ თავიანთ სიაში ერთი კანდიდატი მოპირდაპირე ჯგუფიდან. ასეთი სია მათ უპარტიოთ მონათლეს და თან ყოყოჩობით თავს იქებდნენ „მიუდგომლობის“ გამოჩენით. ეს იყო ერთგვარი ხრიკი, ჩვეულებრივი, რომ შემდეგისათვის უკან დასახევი გზა არ მოეჭრათ. რაკი შეთანხმება ორთა შორის უკვე მომხდარიყო და მაშასადამე უმრავლესობა შექმნათ თავიანთი კანდიდატურისათვის, ცხადია მეორე ჯგუფთან ლაპარაკიც მეტი იყო და ასეთ პირობებში დაიწყო კრება. ძალთა განწყობილება კრების თავმჯდომარის არჩევნებშივე გამოირკვა. მაგრამ აქაც აღსანიშნავია ერთი გარემოება.

როდესაც რიგი თავმჯდომარის არჩევანზე მიდგა, ჩვენმა ჯგუფმა განაცხადა, რომ ეს პროცედურა დიდ დროს წაგვართმევს და ამიტომ განაგრძოს კრების თავმჯდომარეობა დროებით გამგეობის თავმჯდომარემ ბ. შიო დედაბრიშვილმაო. ეს წინადადება ვერ გავიდა და დაიწყო კენჭის ყრით არჩევანი, რომელმაც 11 საათიდან საღამოს ექვს საათამდე გასტანა. ამ რიგად მთელი დღე დაიკარგა. მაგრამ რაც უფრო განსაცვიფრებელი და მოულოდნელი იყო, ეს გახლავთ „ბლოკის“ შემდეგი საქციელი: კრებაზე მონაწილეობის მისაღებად მოსული იყვნენ ტრამვაის მუშები, რომელთაც დრო ქონდათ მხოლოდ დღის 2 საათამდე. მათ ითხოვეს, რადგანაც გვაგვიანდება, რიგს გარეშე მოგვეცით კენჭის ჩაგდების ნებაო, ეს წინადადება დასელების და „დემოკრატ“ „საქართველოელების“ მომხრეებმა არ მიიღეს და ამ რიგად 50 მუშას მოუსპეს საშუალება არჩევნებში მონაწილეობის მიღების. ეს რამდენიმე მაგალითი მათი საქმიანობის და „კეთილი სურვილის“ ააშკარავებს, თუ რა სწადიათ ახალ მეგობრებს, რას ეტრფიან ისინი და როგორი საქმიანობა აინტერესებს იმ ხალხს, რომელნიც დღე მუდამ დემოკრატიაზე და ხალხის ინტერესების დაცვაზე გაჰკივიან.

თვით არჩევნებმა გამოაშკარავა ის გარემოება, თუ რა მდგომარეობაში არიან ჩვენი მოწინააღმდეგენი, თუნდაც შეერთებულნი. **ბ. ლახნიშვილმა** მიიღო 472 **თეთრი** და 431 **შავი**; **ნ. ელიავამ** კი მოკავშირეთა ხმები: 498 **თეთრი** 402 **შავი**. შეერთებული იერიში მხოლოდ 21 ხმით სჭარბობდა პირველს და მათ თუ შეუძლიათ დამშვიდებული სინიდისით გამარჯვების დღესასწაულობა, დღეიდღესასწაულონ. ჩვენ მართალია ნაკლები ხმა მივიღეთ, მაგრამ შორს არაა ის დრო, როცა ჩვენს მოპირდაპირეთ მესამე მოკავშირის ძიება დასჭირდებათ გამარჯვების მოსაპოებლად.

ომის გარშემო

ომის დღიური

რუსის ჯარი, როგორც მოსალოდნელი იყო, განაგრძობს შეტევას ბიჯარის და ჰამადანის მიმართულებებით. პირველ გზით რუსის ჯარმა უკვე სენემდე მიაღწია და მეორე გზით ასადაბადის გადასავალი დაიპყრო. რუსის ჯარი კონცენტრიულ შეტევას აწარმოებს, რომლის უახლოესი მიზანი ქერმანშაია. ქერმანშაის დაპყრობა ჯერ ერთი თვით რუსის ჯარის ოპერაციას უზრუნველჰყოფს სამხრეთის მხრით (სულთან-აბადის მიმართულებით) შემოვლისაგან და მეორეს მხრით დამუქრება იქნება თვით ბაღდადისათვის. მესოპოტამიიდან ინგლისის ჯარის მოქმედების თაობაზე ცნობა არ მოსულა, რაც მით აიხსნება, რომ კუტელ-ამარის დაპყრობის და ხანგრძლივი ინტენსიური მოქმედების შემდეგ ინგლისის ჯარს დასვენება, დალაგება და საკვებ გზების მოწყობა სჭირია. შეიძლება წყალდიდობაც აფერხებდეს მოქმედებას. იქვს გარეშეა, რომ აწ დამყარებული გარემოება აიძულებს ოსმალეთს შესაფერი ანგარიში გაუწიოს მესოპოტამიის საქმეებს. აქ ოსმალეთის ჯარს მეთაურობს გამოცდილი და ნიჭიერი სარდალი ჰალილ ფაშა, მაგრამ ცხადად ემჩნევა, რომ მას ინგლისელებთან შედარებით ბევრით ნაკლები ჯარი ჰყავს. ისეთი მაგარი პოზიციების, როგორც კუტელ-ამარის და სენაიატის პოზიციებია, დატოვება ამას ცხადად მოწმობს. ინგლისელებმა ისეთ ფართო მანევრს მიმართეს, პირის პირ შეხლასთან ერთად მარცხენა წვერით შემოვლას, რომ ამისთვის ჯარის საგრძნობი უმრავლესობა უნდა ჰყოლოდათ. ოსმალების კონტრ-მანევრი უფრო მოსალოდნელი და საშიშია ტიგროსის მარცხენა ნაპირით და ამ კონტრმანევრის წარმოებისათვის შეიძლებოდა იმ ჯარის მოხმარება, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ სპარსეთში მოქმედობს. მაგრამ ოსმალთა საუბედუროდ რუსის ჯარმაც შეტევა იწყო ქერმანშაისაკენ და ამით საშუალებას უსპობს სპარსეთში მომქმედ ოსმალთა ჯარს მესოპოტამიას დაეხმაროს. ამიტომ ოსმალებს ერთად ერთი საშუალება დარჩენიათ შიდა ოსმალეთიდან მოიყვანონ მაშველი ჯარი და სწორედ ამ ჯარის დროზე მოყვანაზეა დამოკიდებული ბაღდადის რაიონის ბედი. მართალია ოსმალეთის ჯარის მდგომარეობა მესოპოტამიაში მეტად გართულდა, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მოპირდაპირეთა მოქმედებაც მეტად მძიმე პირობებში სწარმოებს. უგზოობა, სურსათ-საკვების შოვნის სიძნელე, ოღრო-ჩოღრო ადგილები და ბევრი სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი მათ ოპერაციებს ხელს უშლის და წინსვლას აფერხებს.

ი. გე—ვა—ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 22 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთი-გერმანიის, ავსტრიის და რუმინიის ბრძოლის პირები. სროლა და მზვერავთა თარეშია.

კავკასიის ბრძოლის პირი. ბიჯარის მიმართულებით ჩვენი ჯარი სდევნის მოპირდაპირეს და ამ ჟამად სენესთან იბრძვის. ჰამადანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიპყრა ასად-აბადის გადასავალი და სდევნის ოსმალებს, რომელნიც თიანგვერისაკენ ილტვიან. დოვლეტ-აბადის მიმართულებით კვლავ ვსდევნით მოპირდაპირეს.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 21 თებერვალი. ცნობა საღამოთი. გუშინ საღამოს კვლავ წინ წავიწიეთ იპრის ჩრდილო-დასავლეთით; დღეს დილით მოპირდაპირის თხრილებს დავეცით ბუშევანის აღმოსავლეთით; ცოტა ხნის შემდეგ შევამჩნიეთ, რომ მოპირდაპირე კონტრიერიშისათვის ემზადებოდა; არტილერიის სროლით გავფანტეთ.

პარიზი. 22 თებერვალი. ცნობა დღისით. მდ. უაზასა და ენის შუა უეცრივ დავეცით მოპირდაპირის თხრილებს კენევიეში. არგონში ფურცე-პარის რაიონში ნაღმი ავაფეთქეთ და მოთხრილი ორმო დავიპყარით. გერმანელები რამდენჯერმე შეეცადნენ იერიშს ფეირეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ბუშეს ტყეში, სენ-მიელის ჩრდილოეთით და ამერცველერის მიმართულებით. ყველა იერიშით შევაჩერეთ და მოპირდაპირეს ზარალი მივაყენეთ. დანარჩენ ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

ამერიკაში.

ვაშინგტონი. 22 თებერვალი. სენატორმა ლოჯმა კვლავ შეიტანა სენატში „შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის“ კანონ-პროექტი. სენატის თავმჯდომარემ განუცხადა, კონგრესის სესია დამთავრდაო. რამდენიმე სენატორმა განცხადება შეიტანა შეცვლილ იქმნას სენატის მუშაობის წესრიგი, რათა შესაძლებელი იყოს კამათის შეზღუდვაო.

ვაშინგტონი. 22 თებერვალი. ვილსონმა ითათბირა იურისკონსულტებთან პრეზიდენტის უფლების შესახებ, რამდენად შეუძლიან მას შეიარაღოს სავაჭრო გემები. შემდეგ ვილსონმა ინახულა საგელმწიფოს მდივანი ლანსინგი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

წყალქვეშ ბრძოლა.

„ეკო დე პარის“ ცნობით გერმანიის წყალქვეშა ნავები ყოველ ხრიკს ხმარობენ და ატყუებენ სავაჭრო გემებს. მაგალითად ნავი უმავთულო ტელეგრაფით ყველგან ატყობინებს—ვიღუპები, მიშველეთო და რა წამს სავაჭრო გემი საშველად მიუახლოვდება, ნავი ესვრის ნაღმს და ჩასძირავს.

ესპანიაში გერმანიის აგენტები ყოველ ღონეს ხმარობენ მოკრიფონ ცნობები ზღვაში გასასვლელად გამზადებულ გემებზე, საითკენ მიდის ან რითაა დატვირთული გემი. განსაკუთრებულ ავტომობილით სარგებლობენ, რომელზედაც გამართულია უმავთულო ტელეგრაფი. როდესაც საჭიროა ცნობის გადაცემა ზღვაში, აგენტი ავტომობილით სადმე ქალაქ გარეთ მიდის და აქ რომელიმე მაღლობზე გამართავს უმავთულო ტელეგრაფს და აქედან აწვდის თავის წყალქვეშა ნავებს საჭირო ცნობებს. შემდეგ უმავთულო ტელეგრაფს ისევ შლიან და შინ ბრუნდებიან.

სპარსეთის ასპარეზი.

„პრავიტ. ვესტნ.“ სწერს: ხანი-კულის რაიონი შეადგენს სპარსეთის ბრძოლის პირის სამხრეთ წვერს, რომელიც ორივე მოპირდაპირის ცენტრალურ რაიონებს ეკვრის. ხანი-კული—ჰამადინის რაიონი ბაღდადის ჩრდილო-აღმოსავლეთით 380 ვერსზე მდებარეობს და იქ იყრიან თავს ცენტრალურ სპარსეთში მიმავალი გზები. გეოგრაფიული მდებარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ რუსის ჯარის ეხლანდელი მოქმედება დაკავშირებულია ინგლისის ჯარის ოპერაციასთან მესოპოტამიაში. ამჟამად ინგლისელები ბაღდადს 100 ვერსით არიან დაშორებულნი და ბაღდადი კი მთავარი ბაზაა, როგორც მესოპოტამიაში, აგრეთვე სპარსეთში მომქმედ ოსმალთა ჯარისა. რუსის ჯარი ეხლა ემუქრება მარცხენა წვერს და ზურგს ოსმალთა იმ ჯარისას, რომელიც მოქმედობს ხანი-კული-ჰამადანის ხაზის სამხრეთ-დასავლეთით, რადგანაც ამ ჯარის უკან სავალი გზა ჩრდილოეთისაკენ მიდის. ბიჯარის მიმართულებით შეტევა ზღუდავს ოსმალთა ჯარის მოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალებს შეეძლოთ ფართო ოპერაცია გაეჩაღებინათ ჰამადანის სამხრეთ-დასავლეთით.

გერმანია და ოსმალეთი.

„რუსკი ინვალიდის“ ცნობით ამ დღეებში ინგლისში გამოსულა ივანს ლუინის წიგნი „გერმანიის მისწრაფება აღმოსავლეთისაკენ“. ავტორი ამტკიცებს, რომ ევროპის და აზიის ოსმალეთი იზიდავს გერმანიას არა მარტო კომერციულ სარგებლობით, არამედ უფრო სტრატეგიულ მოსაზრებით. გერმანია დარწმუნებულია, თუ ოსმალეთი მის გავლენის ქვეშ იქნება, ადვილად შესძლებს რუსეთის შავი ზღვის ნაპირებზე თავდასხმას. გერმანიის აზრით რუსეთის სამხრეთი ნაწილი ადვილი დასაპყრობია და მასთან ერთად უძვირფასესი ნაწილია რუსეთისა. ოსმალეთში გაბატონებით გერმანია გზას გაიხსნის აგრეთვე ეგვიპტესა და ინდოეთისაკენ. ბუნებამ მცირე აზია ძლიერ და მიუვალ ციხედ აქცია. მთელი მხარე გარშემორტყმულია, როგორც ჯავშანით, მთის ქედებით და უდაბნოებით. იგი ხელსაყრელი ბაზა იქნება შემომტევისათვის და რადგანაც მადნეულობით მდიდარია, აუარებელ თოფხანად გარდაიქცევა.

გერმანიის რეიხსტაგში.

ამ დღეებში გერმანიის კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა და განუმარტა რეიხსტაგს საერთო პოლიტიკური მდგომარეობა. კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ, რომ საპასუხოდ სოციალ-დემოკრატების ლიდერს შეიდემანს უთქვამს, რომ მოსაწონია კანცლერის დაპირება შინაურ საქმეებში გერმანიის მთავრობა ახალ გზას დაადგებაო. შეიდემანმა იმედი გამოსთქვა, რომ ომიდან დაბრუნებული გერმანელი ჯარის კაცები იმდენად სულით მდაბალნი არ აღმოჩნდებიან, რომ რაიმე დასთმონ თავის უფლებიდან. შეიდემანმა მხურვალე პროტესტი განაცხადა ანექსიის წინააღმდეგ და მოსთხოვა მთავრობას, ზომები მიიღე ზავი მალე ჩამოვარდესო. გრაფ ვესტარპს განუმეორებია ანექსიონისტების პროგრამა, რომელიც უკვე იყო გამოქვეყნებული პრუსიის ლანდტაგში. ამ პროგრამით გერმანიამ უნდა მიიღოს დიდი კონტრიბუცია, შემოიერთოს კურლანდია და ლიტვა, ლონგვისა და ბრიეს რაიონები და ფლანდრია ანტვერპენით. კათოლიკეთა ცენტრის ლიდერს შპანს განუცხადებია: ვილსონს შეუძლიან განახორციელოს თავისი გეგმა, რადგანაო გერმანია ყოველ შემთხვევისათვის მზადაა. გერმანიამ ულმობელი წყალქვეშ ბრძოლა იმიტომ კი არ გამოაცხადა, რომ იმედი გადაწყვეტილი აქვს, არამედ იმიტომ, რომ ომის დამთავრება დააჩქაროს. შპანი მოითხოვს, საზავო პირობებში უსათუოდ აღნიშნული იყოს, რომ მოპირდაპირენი კონტრიბუციას გადაიხდიან გერმანიის სასარგებლოდ.

ნაოსნობის შეწყვეტა.

ლონდონიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: თემთა პალატაში ლორდ რობერტსმა შეკითხვაზე უპასუხა, რომ რამდენიმე სანაოსნო ამხანაგობამ შესწყვიტა ნაოსნობა ინგლისისა და სკანდინავიის და ჰოლანდიის შორის. თუ ნაოსნობა აღდგენილ არ იქნება, მაშინ ინგლისი იძულებული იქნება რაიმე ზომები მიიღოს. სურსათ-საკვეთის შესახებ ბატჰერტს განუცხადებია: დანიშნულია განსაკუთრებული კომისია რომელსაც დავალებული აქვს ცნობები შეკრიბოს ხალხის გამოკვების გეგმის შედგენისათვის, რადგანაც შესაძლებელია სანოვაგის ხმარება და ხარჯვა შევზღუდოთ.

ახალი ამბავი

◆ **ახალ კლუბის წევრთა წლიური** კრება 22 თებერვალს დაიწყო პ. ა. გოთუას თავმჯდომარეობით. კრებამ ამ დღეს მოასწრო 1916 წლის ანგარიშის განხილვა და 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ზოგიერთ მუხლის დამტკიცება. კრების გაგრძელება გაიმართება დღეს, 24 თებერვალს, საღამოს 9 საათზე.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც.** საზოგადოების ტფილისის განყოფილების დამფუძნებელ კრების გაგრძელება გაიმართება კვირას, 26 თებერვალს, დილის ათის ნახევარზე სახალხო სახლში.

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის** სესია ბაქოს გაემგზავრა.

◆ **მ. ნ. ვინოგროდოვის კულტურულ-ტეხნიკურ სასწავლებელში** შემოდგომიდან სატყეო განყოფილება იხსნება.

ახალი ხანა ქართულს სიტყვა-კაზმულს მწერლობაში

(დასასრული *)

ლეილა, სიმბოლო აღმოსავლეთის პოეზიისა, ქალის სახით მოვლენილი, გამოეცხადა ჩვენს მგოსნებს და „მიუძღვნა მათ უცხო ლარნაკი-გული ნიშნად და-ძმური სიყვარულისა“. მიუძღვნა და... ესენი „წუთით შეხვდნენ და სამუდამოდ კი დაშორდნენ ერთმანეთს“. აღმოსავლეთის ლეილამ საქართველოს ჰარილეს დაუთმო ადგილი. ბ-ნი **ჰუმბაძე** ქადაგი ნიზამია, სიბრძნისა და პოეზიის აუზს რომ დაეყრდნო წყურვილის მოსაკლავად, მაგრამ „ვერ დასწვდა“, წყურვილი ვერ გაიქარვა, სანამ მშვენიერმა ჰარილემ, მისმა ლამაზმა და საყვარელმა სამშობლომ არ აავსო თვისი ჭურჭელი და არ მიაწოდა მას, ეს ნიჭი შემოქმედებისა. შესვა ქადაგმა და ჭურჭელი სიპს დაახეთქა, შემდეგ გაუდგა გზას. განცვიფრებულ-გაშტერებული ჰარილე დიდხანს უცდიდა, დიდხანს ელოდა ამ უცნაურ მგზავრს, რომ მას ეცნო იგი, შეეყვარებინა და შეეთვისებინა. მაგრამ ამაოდ. ბოლოს თვით გაჰყვა მის კვალს და „ჰარილეს სული მხოლოდ ნიზამს უხმობდა“. ბოლოს იხილა: „დონე მიხდილი დაჰყრდნობოდა დამშრალ რუს და ობ-მოკიდებულ გუბეს წვეთობით სრუტავდა“ ასე იკლავდა იგი წყურვილს ძველი, დამშრალი პოეზიის ნაშთით და ახალი, ჯან-საღი, ცხოველმყოფელი სასმელისათვის კი ვერ მიეგნო გზა-კვალ აბნეულს; ვერ მიეგნო კი არა, იგი მან ადრე ბრმულად უარჰყო და გზას გაუდგა, რადგან ვერ ეცნო ნამდვილი წყარო უკვდავებისა. „ჰარილემ მუხლი მოიყარა მის წინაშე და შესთხოვა: სასურველო, მიიღე ჩემი სასმელიო“. მაგრამ რადგან ჭურჭელი არა ჰქონდა, საკუთარი ფორმა და თვისი სახე. „გაიპო ფიქალის მკერდი, ბუდიდან ამოიღო სიყვარულით აფართქალებული გული და გაუწოდა: ჰა, დაეწაფეო!“ ეხლა კი ასეთის თავგანწირვით მიძღვნილს სასმელს ქადაგი ველარ მოერიდებოდა და იგიც ხარბად დაეწაფა მას დამშრალსა და ობ-მოკიდებულ რუს შემდეგ. „რა წამს ვაჟმა ტუჩი შეახო, მყის გული უცხო ლარნავად იქცა და შიგ ბრილის ნალესად ალივლივდა მწუთხე სასმელი. იგი ცრემლი იყო, ჰარილეს ცრემლი, მარტოობაში რომ ჰღვრიდა ხოლმე მის (მგოსნის) მომლოდინე“. ჰარილემ ჰპოვა თვისი მგოსანი. მაგრამ მოიკლავს იგი წყურვილს მისგან შესმული მწუთხე სასმელით? შეჰსვა მგოსანმა მწუთხე სასმელი და შეუდგა თვით ჭურჭლის ძებნას, სატრფოს ფორმა—სახის აღდგენას: „მარად ეძიებს მას, რაც ადრე საკუთარის ხელით დაუმსხვრევია“, უარუყვია, და ეკითხება ლეილა მგოსანს ჰუმბაძეს: „იპოვის განაო?“ ეჭვს გარეშეა, „უცხო ლარნაკი, როგორც სიმბოლო ბედის წერისა“ უშრეტ ცეცხლის ალს აუნთებს გულში ჩვენს ყმაწვილ მგოსნებს დამსხვრეული ჭურჭლის გასამრთელებლად. ჰარილემ იპოვა, თუმცა კი გვიან, თვისი მგოსანი. **აბაშელსაც** დაუგვიანდა თვის მწყობრი რითმა სატრფოს სამკობლად, თუმცა ის ადრე, მის ოცნებით შექმნილ ოქროს თმას მზეს ადარებდა, და იმის სახელს იგი ოცნებით დაატარებდა. თვით არსად სჩანდა, მხოლოდ სახელი შერჩენოდა. სატრფოს სურვილი მის ოცნებას ეურჩებოდა და მგოსნის გრძნობა უკუქცეულ ლოცვად რჩებოდა“. მგოსნის სატრფო ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, მას კიდევ ვერ შეეცნო ჯერ თავისი თავი. ბოლოს იმედ დაკარგულსა და თითქმის სასოწარკვეთას მიცემულს მგოსანს ბედმა გაუღიმა: დროთა ვითარებამ და ზეშთაგონებამ გონს მოიყვანა, გამოაფხიზლა იგი და მგოსანიც აღტაცებით განაგრძობს: „მოულოდნელად გავიგონე გამოძახილი შენს ყრუ დუმილში დამარხული ჩემი ლოცვისაო“. იყო დრო, რომ სატრფო ეძებდა მგოსანს, სატრფოს უფრო ადრე შეეცნო თავისი თავი; მაგრამ ეს მეორე მომენტია, მეორე საფეხური შეგნების განვითარებისა; ხოლო მას მიუძღოდა პირველი ნანა, ხანა სატრფოს ძილისა, როცა მგოსანი მისს სახელს ოცნებით დაატარებდა და ელოდებოდა მის გაღვიძებას. ასეთს მგოსანთა რიცხვს აბაშელიც ეკუთვნის. იგი ამბობს:

„დიდხანს ვასმევდი სულის ნაწველს მტირალ სტრიქონებს,
დიდხანს უმღერე სონეტები მჭკნარ იის კონებს,
დიდხანს ვუცადე, ტრფობის გვირგვინს სხივ დაფრქვეულსა,
მაგრამ, ხომ ხედავ სიყვარულს უცხად წვეულსა,
როგორც ამ რითმას, მეტის მეტად დააგვიანდაო“.

და მართლაც დროსა და სივრცის მანძილით თუ გავზომავთ, ამ რითმას სწორედ დააგვიანდა: იგი იმ ტაეპის პირველი ლექსის გასარითმავად არის ნახმარი, სადაც მგოსანი ამბობს ცრემლით აივსო ჩემი გული და დაზიანდაო. ეხლა მგოსანს „დაფერფლილი აღეგზნა ვნება“ და „შავმოგონებად დააწვება აწმყოს წარსულიო“, რომელმაც ახალი გზა უჩვენა მგოსანს. ჩვენც სრულ გამარჯვებას უსურვებთ ამ ახალს გზაზედ ნიჭიერ პოეტს.

ძვირფასია ეროვნული შემოქმედება, როცა საკაცობრიო გრძნობებითაც არის იგი გამსჭვალული. აი ელეფთერიძე და მისი „ურმული“ ურმული ხომ ქართული მუსიკის სულია. ქართული ხელოვნების ნატეხი. იგი „სიმღერაა სევდა-კაეშანისა“. ურმული ჩვენი უტკბესი მუსიკაა და მისი აღწერა კიდევ, ელეფთერიძის მადლიანი კალმის წყალობით, პოეზიაა ნამდვილი. მაგრამ მეშინიან ჩემის გადმოცემით არ დავამახინჯო იგი, როგორც თვით ელეფთერიძე შიშობს: „ნუ დამემდურებით, თუ ვინიცობაა ჩემმა ურმულის აღწერამ ვერ დაგაკმაყოფილოთო. აქ იქნებს, თვით გენიოსსაც უმტყუნოს კალმმაო“. მაგრამ იგი გამარჯვებული გამოვიდა, მე კი, დამარცხების თავიდან ასაცილებლად, ისევ ელეფთერიძის „ამონახევეი მოთხრობიდან“ მოვიყვან ურმულის შესახებ ზოგიერთ ადგილს „ის ვინც არ იცის ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ყოველწუთიერი ტანჯვა-ვაება წარსულშიც და აწმყოშიც, გამუდმებული ბრძოლა და ცხოვრების მრავალ ფეროვან მოვლენებთან, იქნება არც კი მოიხიბლოს ამ თავისებურის ჰანგის მეტყველებით... არც ის გამიკვირდება, რომ მან სთქვას კიდეც:—ეგ თქვენი ურმული მხოლოდ უხეშ სმენას თუ დაატკბობსო, შეიძლება არც სტყუოდეს... კაცია და გუნება... მაგრამ ჭეშმარიტი ქართველი მაშინათვე იგრძნობს, რომ ურმულში ჩაგრეხილია ჩაქსოვილია სული და გული ქართველი ერისა. და **ის კი, რაც გამოსთქვამს საიდუმლოებას ერის გულია პასუხისას, ხულთაძირისას,**—მე მგონია და შენც დამეთანხმები, **მარტო უხეშ სმენას როდი უნდა ატკბობდის**“-ო. და ეს ასეც არის. ეს მჯელობა, მსჯელობა ესთეტიური, დმ საცა ჰსურს განიცადოს უტკბესი სიამოვნება ურმულის მუსიკის სიტყვიერად დაფასებით, ურჩევთ თვით ბ. ელეფთერიძეს „ურმული“ წაიკითხოს. ან კიდევ აი იმის ნიმუში, თუ როგორის ძლიერებითა სცემს განდგომილი მგოსნის გულს მშობლის დაკოდილი გული თავის ლახვარს! მაშ დააკვირდით და განიცადეთ ეს, ვისაც გეხებათ. თქვენგან დამსახურებული საყვედური, **მაჯაშვილს** რომ ათქმევინებს სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარული:—იცი რა? მიძირა სიყვარულის ზღვამ. მაგრამ რა! მომპარა შენი თავი სხვამ!! **მას უმღერ, მას უმღერ შენს სიმღერას ჩემს!..** ვნებითის გიცქერის, **სულში ლახვარს გცემს!**“ დიახ, ლახვარია მშობლისათვის ის სიმღერა, მას რომ ეკუთვნის, მგოსანი კი ამ სიმღერას სხვას უმღერის, დედინაცვალს!

ჩვენს დროში ბევრს ქართველ „მგოსანს“ არევია გზა-კვალი და უცნაურად იწყებს მღერას. მათ პატივსაცემლად არის დაწერილი **სანდრო ყანჩელის** პატარა სატირა „პრელიუდია“. აი რას ათქმევინებს ყანჩელი ასეთს მგოსანს, რიხითა და თავმოწონებითაც რომ გვამცნობს თავის უკუღმართს მსოფლმხედველობას და შერყვნილს გემოვნებას:

მე მოვედი ამა სოფლად **უცნაურად მოხიბლული:**
თვალს არ უყვარს ბაღჩის ვარდი, გულს არ მიკლავს ტყის ბულბული...

ასეთი მგოსანი „ტრაგედიას ხუმრობად ჰქმნის და ცრემლით ამკობს სიოხუნჯეს“. საღი გონების ადამიანისათვის მართლაც გაუგებარი, უცნაურია ასეთი პოეზია, იგი მხოლოდ ავადმყოფ გემოვნებისა და ფანტაზიას თუ შეეფერება, თორემ რა სათქმელია ჭკუათა მყოფ მგოსნისათვის—„მე დავგლიჯე ბაღჩის ვარდი, დავადუმე ტყის ბულბულიო“. მაგრამ ეხლა ხომ ბევრისათვის ავადმყოფური ხანაა. ესენი გაუგებარ თავისებურებაში ჰხედავენ რაღაც ღირსებას, და, ბუნებრივ ნიჭის მოკლებულნი, გვაწვდიან ხელოვნური, ნაძალადევი ნიჭის ნაყოფს: ბაღჩის ვარდს ფეხქვეშ სთელვენ, მყრალ ბალახს კი ხოტბას შეასხმენ; მშვენიერ სამშობლოს ქვა-გუნდს აყრიან მტრულად განწყობილ ქვეყანას კი ლექსით ამკობენ. მართლაც რომ უცნაურია ასეთი პოეზია!

საგულისხმოა **გიორგი გვაზავას** „ქართველი ქალი“.

„ოსმალელმა ქართველ ქალსა შემოჰფიცა სიყვარული“ და მისს დასამტკიცებლად „მოწმად მოჰყავს მუჰამედი, მისი მექქა დამდენია“. რუსმა ჰკადრა; „ფრთხილად ქალო, ურჯულომ არ შეგაცდინოსო“ და სცდილობს დაარწმუნოს, თუ რატომ უნდა მისცეს ქალმა უპირატესობა რუსს და არა „ურჯულო ოსმალოს“. მაგრამ, საკუთარი ღირსებით რომ ვერ იქებს რუსი თავს, ამიტომ ეუბნება:

ტურფავ, ჰნახე ჩემი მხარე, ჰნახე როგორ მიიშლება
მის სივრცეზე მოელვარე დასავლეთის მონათებაო“.
აქ შუქითა მოხიბლული შენც გახდები ბედნიერი,
ქალო, ჩვენ გვაქვს ერთი რჯული,
ერთიც უნდა გვქონდეს ჭერი“-ო.

ქალმა ბრძანა:

„დამეხსენით, ორთავესა გიცნობთ კარგათ;
ნდობა წმინდა, სავსე ლხენით, ორთავესა დაგეკარგათ;
ჯერ არ მახსოვს აქამდინა დღე უღრუბლო, უბურუსო,—
არც მექქა მწამს, არც მედინა, და არც შენი ფიცი რუსო“-ო.

აქ ისე ნათლად და აშკარად არის გამოთქმული ძირითადი აზრი ამ ლექსისა, რომ ახსნა-განმარტებაც სრულიად ზედმეტია.

უგულო ტრფობა, პირფერობა ყველგან დასაგმობია. ხელოვნებაში ხომ მას პირდაპირ სიყალბე შეაქვს. ყოველგვარი ხელოვნებისათვის გული ერთად-ერთი იარაღია მშვენიერების სიტკბო-სიამოვნება რომ აგრძნობინოს ადამიანს. ესთეტიური ტკბობის განცდა მხოლოდ გულს შეუძლიან. მაშასადამე უგულო ესთეტიკოსიც მკვდარია. სწორედ ასეთს აზრს იწვევს თქვენში **ნ. ლორთქიფანიძის** პაწია შესანიშნავი მოთხრობა-მინიატიურა „გული“. „მოკვდაო“, გვიამბობს ლორთქიფანიძე, მაგრამ მწერლისაგან ნუ ელით ტყუილად ამის პასუხს, თუ ვინ მოკვდა. უთქმელადაც მიხვდებით, რომ მოკვდა ქართველი მიმბაძავი მგოსანი, უცხო ნიადაგზე აღზრდილი, სხვისი მონა და მორჩილი. ამ პაწია მოთხრობაში ეს აზრია ალეგორიულად გატარებული. მოკვდა იგი და „დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები“, უცხოეთში გარდაიცვალა. მაგრამ იმას, ვისაც დედის მაგიერ დედინაცვალი დაუსვამს თვის დედის ტახტზე, დედაც არ უნდა ჰყავდეს. მაგრამ დედა ვერ გასწირავს უღირსს შვილსაც კი. „ცხედარი გასჭრეს“, და „გულის მაგიერ ფერფლი ღა დარჩენილიყო“. უბედურმა დედამ რო გაიგო, ქვითინებდა: ასე გამომიმეტე ქვრივი ობერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენი

---

*) იხ. „სახ. ფურც.“ № 801.

✦ პურის ნიხრის გადიდების მოლოდინში ბევრი მეპურე პურს აღარ ბს. ამის გამო ქალაქის სავაჭრო ციის აგენტებმა 25 მეპურეს ადგინეს ოქმი.

✦ ქალაქის სატრამვაიო კომისიამ დგინა, შემოღებულ იქმნას მოსწავთათვის შეღავათიანი ბილეთები.

✦ ტრამვაი. ქალაქის სატრამვაიო სიამ საჭიროდ არ სცნო, რომ მვაის ვაგონების მოძრაობა ღამის საათამდე სწარმოებდეს.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურ საზოგადოების საბჭომ დაადგი მომატოს თავის მოსამსახურეთ აგირები 82—65 $^0/_0$-მდე.

✦ ქართულ ხოროს საჭიროებისა ახალ კლუბის წევრთა საერთო ბამ ქართულ საფილარმონიო სადოების განკარგულებაში 6,000 გადასდო და ეს თანხა შეიტანა 17 წლის ხარჯთაღრიცხვაში.

✦ სკოლის გარეშე განათლების საზოგადოება დღეს ჰმართავს ლექას სამოსწავლებლო ინსტიტუტის ბაზში. ქალთა უმაღლეს კურსების ნებელი ვ. კაზანცევი დაიწყებს კივას კურსისას: „ბიოლოგიის შესალი.

✦ კავკასიის ერობა. მილიუტინის მჯდომარეობით მოხდა 20 თებერლს საუწყებათაშორისო კომისიის რიგი სხდომა კავკასიის ერობის შებ. აქ გაარჩიეს სამაზრო ერობის ობების უფლებათა შესახები ოცი ლი. მუხლების უმრავლესობა მიის მეფის ნაცვლის კანცელარიის შემუშავებულ პროექტის მიხედვით. ზოერთი მუხლი პირდაპირ გადმოიღეს 1890 წლის დებულებებიდან. საქმეების გარჩევა და ჟურნალის წარმოება და ხდებოდეს რუსულ ენაზე. მაგამ სამაზრო კრებებზე ნებადართულია ადგილობრივ ენებზე განცხადებების შეტანა, ხოლო იგი მყისვე უნდა გადაითარგმნოს რუსულად ჟურნალში რუსულადვე იყოს შეტანილი. ერობის საკრედიტო ოპერაციებს მეე დამოუკიდებლობა მიენიჭა, ხოლო მეფის ნაცვალს ნება აქვს მხოლოდ დამტკიცოს ერობის სესხი და ვალის ება. შემდეგი სხდომა 25 თებერვალს მოხდება.

სოფლად და ქალაქად

ფოთი

✦ 18 თებერვალს ტფილისის სასამართლო პალატის სესია ჩამოვიდა და გაარჩია პოლიტიკური საქმე ფოთის რესპუბლიკათ წოდებული. ბრალსა სდებდნენ ჟენევის უნივერსიტეტში კურს დამთავრებულს კოსტ. ბეჟ. საბახტარიშვილს, მას იცავდა ნაფ. ვექილი შ. მესხიშვილი. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვისა და მოწმეების დაკითხვის შემდეგ პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოთ იცნო ბრალდებული საბახტარიშვილი და გაამართლა იგი.

ქუთაისი

✦ ქუთ. ისტორია-ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ უკვე მიიღო მგოსანი აკაკი წერეთლის ოთახის ავეჯეულობა, რომელიც ზემო-აღნიშნულმა საზოგადოებამ ქ. ტფილისში შეიძინა. ამავე საზოგადოებას სამსონ კილაძემ გადმოსცა 100 მან. 64 კაპ. ეს ფული გადარჩა აკაკის დასაფლავების დროს ქუთაისში შემდგარ კომიტეტს. ზემოაღნიშნული თანხა მოხმარდება ქუთაისის მუზეუმში აკაკის ოთახს, რომ მოაწყობს, იმის გამშვენებას.

✦ ისტორია-ეთნოგრაფიული საზოგადოების შუამდგომლობა ქალაქის თვით-მართველობამ დააკმაყოფილა და დაუთმო სამკურნალოს რამოდენიმე ოთახი, რომლის შეკეთებას ამ დღეებში დაიწყებენ.

✦ პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ოჯახი‘‘-ს რედაქცია უმორჩილესად სთხოვს იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც აღგვითქვეს ამ ჟურნალში თანამშრომლობა, კეთილ ინებონ და დღეიდანვე მოგვაწოდონ შესაფერისი მასალები ჟურნალის მეშვიდე ნუმრისათვის შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ქართული გიმნაზია, მასწავლებელს დომენტი ოყრეშიძეს.

ჩვენი მეზობლები

სომხეთი.

✦ „ჰორიზონის‘‘ სიტყვით, სოფრაკ კალეში (ალაშკერთი) არსებული საავადმყოფო, რომელიც გახსნილი იყო ცენტრალურ კომიტეტის მიერ— დაიკეტა და ის მხარე, სადაც 600 კაცი დ 130 ობოლი სომხიც დახმარებას მოკლებული დარჩა. საავადმყოფოს გამგე ექიმმა ოგანიანმა დასტოვა ოლქი. გამოქცეულებში ძლიერ ბევრი ავადმყოფია.

✦ დონის ნახჩევანში ოსმალეთიდან გამოქცეულ სომეხ-ინტელიგენტებს განუზრახავთ სპეციალურ საღამოს გამართვა, რომელსაც მიზნად ექნება ვანელ სომხების ზნე-ჩვეულებათა გაცნობა.

✦ ნახიჩევანის სომხის საზოგადოებას გადაუწყვეტია გამოსცეს „წითელი წიგნი‘‘, რისთვისაც გადაუდვია 150 ათასი მანეთი. ამ ფულში 50 ათასი მანეთი ჩალხუშიანს მოუგროვებია.

გული

ბნელ ღამის ნიავი ფანჯარას გამიღებს,
და ფიქრი უძილო წარსულში წამიღებს:
ხსოვნაში ღიმილით ჩაივლის აპრილი,
და მოვა მაისიც გულს ვარდებ-აყრილი,
გაჩნდება მდინარე—ბროლივით ჩხრიალა
და მოვა ქალწული გნოლივით ცქრიალა...
— მემდური ძვირფასო, რომ დამიგვიანდა?
— ო, არა, თუმც გული მთლად დამიზიანდა!..
— რა უშავს?—ამ კიდით შრიალით მოგირბენ
და გულის ჭრილობებს ალერსით მოგირჩენ
მაგრამ აჰ!.. მიშველე!..
— რა იყო, რა მოხდა?
— ო, გული მეტ ღელვით ბუდიდან ამოხტა
და აგერ, მდინარე იტაცებს უნდობლად!—
რაღა ვქნა უგულოდ, რაღა ვქნა უგრძნობლად?
— დამშვიდდი ძვირფასო, ეგ: მკერდის ჯიბიდან—
მანდილი დაგვარდა—ნაქსოვი დიბიდან!—
მანდილი წითელი, შრიალა და კარგი,
ზედ გულიც რომ გქონდა ძაფებით ნაქარგი,
ნუ აბნევ მაგ ცრემლებს ალმასის წყვილ მარცვლად,—
მე ჩემ გულს გაჩუქებ იმ მანდილის ნაცვლად!

. . . .

და უცბად მის სახეს ალ-მური გადაჰკრავს,
მე ხელებს გაუწვდი, ის გულში ჩამიკრავს
და კოცნის პასუხად მაჩუქებს ამბორს ცხელს
და თანაც ნაზ მკერდზე შემახებს თოვლის ხელს...

—

და გამოვერკვევი ხელი რომ მამხვდება—
ვნახავ მკერდს და გული შიგ აღარ დამხვდება!..

ხ. ფაშალიშვილი.

მართალი ამბავი

ქართველ ინტელიგენტის ვინმე მერაბოვის (მერებიშვილის) ვაჟი მიუღიათ ერთ-ერთ გიმნაზიაში. კლასის დამრიგებელს ბავშის გვარი ჩაუწერია მერაბიშვილად, ეს რომ დედას გაუგია, გაცხარებული მივარდნილა სასწავლებელში და მოუთხოვნია: როგორ გაბედეთ და ჩემი შვილი მერაბიშვილად ჩასწერეთ, რად უღუპავთ კარიერასაო?!

?!

ქლიბი.

კვირინდელ კრების გამო.

როგორც მკითხველებს უკვე ეცოდინებათ წ. კ. საზოგადოების ტფილისის გამყოფილების დამფუძნებელი კრება; რომელიც 19 თებერვალს გაიმართა, მხოლოდ და მხოლოდ კრების თავმჯდომარის არჩევას მოუნდა. ეს მოხდა დასელების ჟინიანობის გამო, რადგან როდესაც ჩვენ შ. დედაბრიშვილს ვსთხოვეთ დარჩენილიყო თავმჯდომარედ, დასელებმა თავისი კანდიდატი ნ. ელიავა დაასახელეს. ახლა „თ. აზრი“ თავს იმართლებს და გვედავება: თქვენ ჯერ გ. ლასხიშვილი დაასახელეთ და მერე შ. დედაბრიშვილიო. ეს აშკარა ტყუილია და კრების ყველა მონაწილე დაამოწმებს მის სიყალბეს. შ. დედაბრიშვილს სთხოვეს დარჩენა და კრებისაც შესაფერისი სიტყვებით მიმართეს ჩვენმა ამხანაგებმა ე. ჩ—ძემ და გ—ლმა. „თ. ა.“ რომ მართალი იყოს და შ. დედაბრიშვილი ბოლოს რომ დაგვესახელებინა, მაშინ იმას და ნ. ელიავას დაედგმებოდა ყუთი და არა გ. ლასხიშვილს და ნ. ელიავას. ჩვენ რომ დროს დაკარგვა არ გვინდოდა, სხვათა შორის მოწმობს გ. ლასხიშვილის საქციელიც: მან პირადად მიმართა ნ. ელიავას, მოვხსნათ ჩვენი კანდიდატურა და ვინმე ნეიტრალური დავასახელოთო, მაგრამ უარი მიიღო: ამხანაგების დაუკითხავად მაგას ვერ ვიზამ, ხოლო მათი შეკრება ახლა შეუძლებელია. ყველაფერი ეს ცნობილია, მაგრამ „თ. ა.“ კარგად შეუთვისებია ხერხი: „გაღმა გაედავე, გამოღმა შენ შეგრჩებაო“.

საკოოპერაციო ყრილობისთვის

2.

ცუდი პრაქტიკული მოღვაწენი.

საკოოპერაციო კავშირის ეხლანდელ საბჭოს უდიდეს დამსახურებად ის მიაჩნია, რომ ათი თვის შემდეგ, ივნისის (1917 წ.) ჩვეულებრივ კრებამდე მოიწვია არაჩვეულებრივი კრება. არსებითად კი იშვიათია კოოპერატიული დაწესებულება, რომელიც არაჩვეულებრივ კრების მოწვევას სისტემის ხასიათს არ აძლევდეს, ვინაიდან კოოპერატორთა ხშირი ყრილობა საინტერესოა როგორც კულტურულ-განმანათლებელ თვალსაზრისით, ისე მართვა-გამგეობისათვისაც, რასაც უაღრესად საზოგადოებრივი მართველობის ხასიათი ეძლევა, კოოპერატივ „მეურნეს“ წლის განმავლობაში რამდენიმე არა ჩვეულებრივი კრება ქონდა და თუ კავშირი სდუმდა ათი თვის განმავლობაში და მხოლოდ ბოლო დროს მოიწვია არაჩვეულებრივი კრება, ათი თვის დუმილი ნამდვილი მცონარეობა და დანაშაულია. კავშირის პირდაპირი და გარდუვალი მოვალეობა იყო არაჩვეულებრივი კრება მოეწვია ივნისის დარბევის შემდეგ, მაგრამ საბჭო რისთვისღაც სდუმდა და ეშინოდა კრების მოწვევისა. გასული წლის ივნისის დარბევა მხოლოდ და მხოლო კავშირს დაატყდა თავსა. არც ერთ ტფილისის კოოპერატივს შესამჩნევი ზარალი არ უნახავს, ვინაიდან აბობოქრებული ხალხი ებრძოდა არა კოოპერატივებს, არამედ ჩარჩებს, სპეკულიანტებს და დალალებს. კავშირის საწყობი დაარბიეს გამგეთა წინდაუხედაობის გამო, მათ საწყობს კოოპერატიული წარწერაც არ ქონდა, რაიც უეჭველად დაიხსნიდა დარბევისაგან. ბრბომ შთანთქა ხალხის სიმდიდრე და კი არ იცოდა ვის ქონებას ანიავებდა. გამგეთა შემდეგ ვძებას—რასაკვირველია— მნიშვნელობა აღარ ქონდა. თუ არ ვცდები კავშირის საბჭოს საქონლის დაზღვევაც ვერ მოუხერხებია!

ყოვლად შეუძლებელია კავშირის გამგეთა პრაქტიკული მოღვაწეობის სიცუდე და სივაგლახე სავსებით გადმოგცეთ. კავშირის საბჭო და გამგენი განხორციელებული შეცდომა და უვიცობაა და ყოველი დღის ნაბიჯი შეცდომის და სიცუდის მაგალითს იძლეოდა. კავშირს დაჟინებით მოსთხოვდნენ სოფლიდან კოოპერატივის სახელმძღვანელო წიგნებსა და დავთრებს, მაგრამ გამგეები სისტემატიურ დღე-ხვალიობის პოლიტიკას აწარმოებდნენ და ვერ მოახერხეს შედგენილ ფორმის მიხედვით დავთრები დაებეჭდათ რომელსამე სტამბაში, როცა ვიღაც-ვიღაცეები ასი ათასობით ახერხებდნენ ბეჭვდას უაზრო მოკითხვის წიგნებს, ბარათებს და კალენდრებს. ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს კავშირის მოღვაწეობა სოფლის და ქალაქის კოოპერატივების მეთვალყურეობა-მესვეურობის, ინსტრუქციის სფეროში. ტფილისში არიან კოოპერატივები, რომელთა ანგარიშებს კავშირის მოღვაწენი ერთხელაც არ გასცნობიან და არავისათვის დახმარება არ გამოუჩენიათ. სოფლის კოოპერატივებს კი კავშირის უყურადღებობამ იმედი გაუტეხა და კავშირზე გული აუცრუა. სოფლის და ქალაქის კოოპერატივები არა თუ მარტო იდეურ ხელმძღვანელობას იყვნენ მოკლებულნი, კავშირი კოოპერატივების უბრალო შეკითხვასაც ვერ აკმაყოფილებდა, შეკვეთილ საქონლისათვის ფულს იღებდნენ თუმცა ვერც ერთ შეკვეთილს წესიერად ვერ ასრულებდნენ. საკოოპერაციო ყოილობაზე კოოპერატივების რწმუნებულებმა გამოარკვიეს, რომ კავშირის გამგეობამ საქონლის გამოგზავნაში გამოიჩინეს საშინელი უვიცობა, უხამსობა, გამოუცდელობა. ბრინჯის მაგიერ ხშირად ლილას და სახამებელს გზავნიდნენ, გურჯაანის საქონელი მიდიოდა მცხეთაში და სხვა ამგვარი მაგალითები. დაურთეთ ამეებს საარაკო მაღალი ფასები და კოოპერატიული სპეკულიაცია კავშირისა და თქვენ მიიღებთ სამწუხარო სურათს კოოპერატიულ სიმახინჯისას.

საკოოპერაციო კავშირის ხან-მოკლე ცხოვრების ისტორია კოოპერატიულ სიმახინჯის, გამოუცდელობის, მოუმზადებლობის და ვიწრო მიდგომილობის ისტორიაა. ყოველ ფაქტის წარმოდგენა დაგვაწერინებდა დიდ თხზულებას და თავზარს დასცემდა საზოგადოებას ყალბი მოღვაწეობის შთაბეჭდილება. საბჭოსა და გამგეთათვის არ არსებობდა გულწრფელი კოოპერატიული ალღო და მოქმედებდნენ ისეთ აზრების მიხედვით, რომელთაც კოოპერატიულ შემოქმედებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. დაარსების დღიდანვე კავშირი ვერ მისწვდა არსებულ ცხოვრების კონკრეტიულ პირობებს და ვერ შეეგუა ვერც ქალაქის თვით-მართველობას, ვერც მთავრობის დაწესებულებებს და თვითონაც კი ვერა გააწყო რა. საჭირო იყო ადგილობრივი კავშირები მოგვეწყო, რომ ასეთ გონივრულ საკოოპერაციო შენობით სათანადო გავლენა მოგვეხდინა საზოგადოებრივ ძალებისათვის, რის საჭიროება ჯერ კიდევ კავშირის დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა 1916 წელში. მაგრამ დასელების პრესა და დასელთა პრესაში კავშირის ინსტრუქტორი, განსვენებული გ. ლომთათიძე ილაშქრებს ჩვენი დებულებათა წინააღმდეგ და იცავს ცენტრალიზმს, დღეს რომ ყველასი მიერ არის ცუდ აზრად მიჩნეული. საბჭოც სწორედ გ. ლომთათიძესებრ იქცეოდა და ადგილობრივ კავშირებისათვის კი არ ზრუნავდა, არამედ ცენტრალურ კავშირის განყოფილებათ, რომელნიც გვევლინებოდნენ გამნაწილებელ პუნქტების სახით. ვერ წარმოიდგენთ ამაზე მეტ ყალბ ორგანიზაციას, როგორც გამნაწილებელ პუნქტების შეხედულებაა. ამ პუნქტებისა რსცხვენიათ დღეს ეხლანდელ საბჭოს და აღიარებს მას არა მიზნად, არამედ კავშირების შექმნისათვის გარდამავალ ფორმად, საფეხურად. მაგრამ ასეთი შეხედულება კოოპერატიული სიმახინჯე და თაღლითობაა. რუსეთში მრავლად დაარსეს გამნაწილებელი პუნქტი, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ადგილობრივი კავშირები ჩაეკლათ. და თუ ეს მიზანი ვერ შეასრულა ბიუროკრატიულ-ცენტრალისტურ შეხედულებით გამსჭვალულმა მოსკოვის დიდმა კავშირმა, ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ კოოპერაციაში ყალბი მიზნის გასაღება შეუძლებელია ვინც უნდა მოინდომოს მისი განხორციელება. საქართველოში გამნაწილებელ პუნქტების დაარსებაში გამოიხატა შიში საბჭოს ცენტრალისტებისა, რომ ადგილობრივ კავშირში მათ შეეძლოთ თუ ყველგან [არა, აქა-იქ მაინც დაეკარგად ჰეგემონია და კოპერაციის თბილი ადგილები, გამნაწილებელ პუნქტით კი ცენტრი გაგზავნიდა თავის კაცს და ამნაირად ადგილობრივ ხალხს კავშირი თავზე მოახვევდა ყალბ აზრს და ყალბ მოღვაწეთ. ასეთ საშინელ და ყოვლად დასაგმობ პოლიტიკისათვის საბჭოს თავი დღესაც არ გაუნებებია სავსებით და დარწმუნებული ვართ, რამდენი დადგენილებაც არ უნდა გამოიტანონ ჩვეულებრივ თუ არაჩვეულებრივ კრებებზე მახინჯი კოოპერატორები სიმახინჯისაგან თავს ვერ დაიხსნიან.

ერთ უდიდეს ღირსებად კავშირის საბჭოს ბ-ნ კ. შემიტოვის მოწვევა მიაჩნია. უნდა ვსთქვათ თუ არა შემიტოვის მოწვევა საბჭო არაჩვეულებრივ კრებასაც არ მოიწვევდა. იმიტომ კი არა მკითხველო, რომ არაჩვეულებრივ კრებისათვის მასალები არ იყო და საჭიროებას არ შეადგენდა, არამედ იმიტომ მხოლოდ, რომ შემიტოვის ჯამაგირი კავშირის ხარჯთაღრიცხვას ძირ-ფესვიანად სცვლიდა და ამავე დროს დაუმტკიცებელ კაცს საბუთის ქაღალდებზედაც არ შეეძლო ხელის მოწერა. ნამდვილად, არაჩვეულებრივი კრება **უმთავრესად ორი** მიზნისათვის იქმნა მოწვეული: 1) ბ-ნ კ. შემიტოვისათვის, 2) სახალხო ბანკის აგენტურა-განყოფილებისათვის, რომლის თავ-გამოდებით დამცველი ის ბ-ნი კ. კანდელაკი გახლავთ, რომელიც კავშირის თავმჯდომარეა ეხლა. თუ გაიხსენებთ კიდევ, რომ ბ-ნი შემიტოვი სახალხო ბანკთან ახლო სდგას და სახალხო ბანკის საბჭოს წევრადაც ითვლება, თქვენ დაინახავთ, თუ რისთვის მაინც და მაინც ბ-ნი შემიტოვი შეიქმნა საჭირო ამიერ-კავკასიის კოოპერაციისათვის უკეთ ბ-ნ კ. კანდელაკისათვის.

მაგრამ ჯერ ისევ ბ-ნ კ. შემიტოვის მოწვევას დაუბრუნდეთ. საბჭომ ამ საქმეში ყოვლად შეუწყნარებელი დანაშაული ჩაიდინა, რომ თითქმის ფარულად მოაწყო ისეთი საქმე, რომელშიაც ამიერ-კავკასიის მრავალი კოოპერატივი და კოოპერატორი მეტის მეტად არიან დაინტერესებულნი. ჩვეულებად მიღებულია, რომ უბრალო ნოქრებისა და გამგეებისათვის გაზეთებს მიმართავენ და საგანგებო განცხადებებით ხალხს თუ მოღვაწეთ საქმეს-ადგილს გააცნობდნენ, მაგრამ საბჭომ არა თუ აქაურ და რუსეთის კოოპერატიულ გამოცემას (თუ უეჭველად რუსეთიდან იყო კაცის მოყვანა საჭირო), არამედ იმ საკოოპერაციო დაწესებულებებსაც არ შეეკითხა, რომელნიც გვერდში ჰყავდათ და რომელნიც უდიდეს წყაროს შეადგენს ამიერ-კავკასიის კავშირისათვის. საბჭო და გამგენი ვერავითარ მიკიბულ-მოკიბულ მსჯელობით თავს ვერ გაიმართლებენ, რომ საქართველოს კოოპერაციის ბედ-იღბალი რუსის კოოპერატორს ჩააბარეს და ადგილობრივი ძალები კი გარიყეს. მხოლოდ გონებით ბრმა ადამიანს შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ მთელ საქართველოში ვერ ვნახავდით მოღვაწეს, რომელსაც ღირსეულად, კარგად ეწარმოებია კავშირის საქმეები, მით უმეტეს, როცა მოღვაწეს ხუთასი მანეთი თვიური ჯამაგირი ექნებოდა და თუ საჭირო დარჩებოდა განთავისუფლებული სამხედრო ბეგრიდან.

არ წარმოგვიდგენია, რომ საქართველოს ცხოვრებისათვის საჭირო ადამიანები ჩვენვე არ გვყავდეს და ჩვენშივე არ მოიძებნებოდეს. ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ ეროვნულ რენესანსზე, მრეწველობის და მეურნეობის აღორძინებაზე, რკინის გზების, ბანკებისა და სააღებ-მისაცემო დაწესებულებათა შექმნაზე, ერობისა და სხვა კავშირების შექმნაზე, მაგრამ საკვირველია, თუ კოოპერატიულ კავშირისათვის ერთი გამგე ვერ გვიშოვნია, რაღად მოვითხოვთ ეროვნულ მართველობას და ეროვნულ ცხოვრებას!? ნამდვილად კი საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც კავშირის ეხლანდელ საბჭოს ჰგონია. საბჭოს თვალთახედვა მართლა გალატაკებულ და ჩამორჩენილ ხალხისაკენ იყო მიმართული. საბჭოს სულისდგმა ხომ თავიდანვე „თანამედროვე აზრის“ სულისდგმაზე იყო დამოკიდებული და ვინ არ იცის ამ გაზეთის დირექტივების ხასიათი, მისი სექტანტური სულისკვეთება. ამ ხალხს ეროვნული გრძნობა და ეროვნული პოლიტიკა მხოლოდ ენაზე აკერია და თუ მათ წრეში არ მოიპოვება რომელსამე საქმისათვის საჭირო ადამიანი, მათ ამხანაგი რუსი, და გადამთიელი ურჩევნიათ. ასეთი ტაქტიკა კოსმოპოლიტური ფილოსოფიიდან გამომდინარეობს, რომელსაც საბჭო პირწმინდად ასრულებს. **საბჭოსა და**

ვით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში“-ო?—კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი—მე დავაჭკნეო!—მე დავწვიო, გახმაურდა სურათი მაგიდაზე“ უცხო მხარემ დაუჭკნო და უცხოელმა სატრფომ დაუწვა მას, ჯერ ახალგაზრდას, დედისაგან ტანჯვა-ვაებით ჩადგმული გული. ასეთი უგულონი, ცოცხლებიც რომ დარჩნენ, რაღათა ჰღირან? მკვდარს, მიცვალებულს კიდევ დაიტირებს დედის სათუთი გრძნობა, მაგრამ უგულო ცოცხალს დედაც უარჰყოფს!

თუ უკურნებელ სენს ერთისათვის წაურთმევია მთრთოლარე გული, სამაგიეროდ მეორისათვის გულის ნამცეცი მაინც მიუძღვნია სატრფოს— საყვარელს ნამცეცი კი არა, ეს მთელი, ჯანსაღი გულია, საყვარელ მშობელს რომ ჩაუდგამს **მარიჯანისთვის** მხურვალე მკერდში. ადრე მარიჯან ბინდ-ბუნდში ყოფილა გახვეული, როგორც ბევრი სხვა, მასავით გამოურკვეველი მგოსანი. იგი სამშობლოს სურათების შესახებ ასე მოაგონებს სამარადისო სატრფიალოს:

„გახსოვს, წყაროს ქიმ-ნაპირი ისე
იყო დახავსული,
**ვით ჩემს ლექსში იდუმალად მომ-
წყვდეული შენი სული**“-ო.

ახლა ეს იდუმალად ლექსში მომწყვდეული სული განთავისუფლებულია და იგი აშკარად გამოკიანფობს მგოსნის ყოველს სტრიქონში. მას ძვირფასი ძღვენი მიუღია სატრფოსაგან და აჰხელია თვალი:

„დრო გავიდა. თურმე იმ ვარდს,
შენ რომ გულით მომიძღვენი,
თან გამოჰყვა შენი გულის ანამცე-
ცი, ანაფცქვენი.
და მას აქეთ იმ ვარდის ცვარს ჩემი
გული ხარბად იშრობს—
ის ღიმილობს ჩემს ტუჩებზე და
თვალებში იგი მიშრობს.
შენი გულის ნამცეცები,—შენი ტრ-
ფობის საგენახე,—
ბადამალე გულის სკივრში, გულის
სკივრში შეგინახე.
მას ევლება ჩემი ფიქრი, ჩემი ლექ-
სი, ჩემი ვნება,—
ნუ მეძალვით! მე არ ძალმიძს ამ
ნობათის დანებებაო“.

აი რამდენად მტკიცე და შეურყეველია ღრმა და მაღალი სიყვარული. ამ გულით მიძღვნილ ვარდს ემსახურება მგოსანი თავგანწირვით და ეს პოეზიის სამსახურია მისი არსებობის ერთად ერთი მიზანი, მისი რწმენა, მისი ღმერთი.

ხელოვნება საზოგადოდ და სიტყვაკაზმული მწერლობა ცალკე არც ისეთი სექტანტია, რომ მარტო ეროვნულს შემოქმედებასა სცნობდეს, რომ თვითოეულს ერს მხოლოდ და მხოლოდ თავისი საკუთარი ნაწარმოები მოსწონდეს და სხვისას არაფრად აგდებდეს, უარჰყოფდეს. პირიქით. ხელოვნებისათვის ყოველი ერი წმიდათა წმიდაა და თითოეული ერის ხელოვნებაც სულზე უტკბესია ნამდვილი ხელოვანისათვის. ამიტომ ნასხვისარიც ისეთივე ძვირფასია, როგორც საკუთარი, მხოლოდ ეს ნასხვისარი სავსებით გაჩემებურებული უნდა იყოს: ე. ი. ნასესხები უკვე სხვისი კი აღარ არის, არამედ ჩემია, როცა იგი მე ჩემათ ვსცანი. ასეთია სხვისი პოეზია, ჩვენებურად გადმოკეთებული და საკუთარსავით შეთვისებულ-შესისხლხორცებული. თუ გნებავთ ეს ნასხვისარიც აღარ გახლავთ, არც გაჩემებურებული. იგი, საკუთარი სიყვარულის სახმილში გადამწვარ-გატარებული, საკუთარი სულის ნაყოფად იქცევა. ასეთია **შალვა დადიანის** ფილოსოფია მის პატარა ფილოსოფიურ მინიატიურაში. ის აზრი, დადიანს რომ სხვისთვის მოუტაცნია, თავისად გარდაუქმნია და ამიტომ ამბობს: „თუ მე სულელი ვარ, სხვებზე ჭკვიანი მაინცა ვარ; თუ ღარიბი ვარ, მაინც უმდიდრესი ვარ სხვებზე; თუ მახინჯი ვარ, სხვებზე მშვენიერი ვარ მაინც; თუ უბედური ვარ, მაინცა ვარ სხვებზე ბედნიერიო“. ლამაზი პარადოქსებია არა? მაგრამ აბსურდი მაინც არ არის! დადიანი ყველაფერს საკუთარი თვალთახედვის საზომით უცქერის და თუ ის, რასაც იგი სჩადის, სხვის თვალში სულელურია, მისი საკუთარი დაფასებით ფრიად ჭკუიანურია. და სწორედ ეს ათქმევინებს მას: თუ უბედური ვარ, მაინც სხვებზე ბედნიერიო. და ჩვენც იმიტომა ვართ სხვებზე ბედნიერი, რომ ჩვენი უბედურება შეგნებული გვაქვს. ეს კი თავდებია გამარჯვებისა.

გავათავეთ. მაგრამ ჩვენი მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით მაინც არ მოვიხსენეთ ჟურნალის ბოლოში მოთანსებული აკაკი პაპავას „ფერიების სიმღერა“. ზევითაც მოგახსენეთ. მეცხრამეტე საუკუნე ერთის მხრით ჩვენი კულტურისათვის დამღუპველი იყო მეთქი. „ჩვენი გალია—ამბობს პაპავა—უხეშს თუჯის ბორკილებისაგან დაეღობათ“ და მაშინდელ მგოსნებს მხოლოდ ისღა დარჩენოდათ რომ „დამიხსენით! ამაფრინეთ!“ უნდა ეძახათ, თუნდა არა მუსიკალურადაცო“. მართალია ისიც, რომ ჩვენს დროში „პოეზია პუბლიცისტიკას გამოეყო“ და ხელოვნებამ საკუთარი ბუდე გაიჩინა. აი, სწორედ აქ დაიწყო ქართულ-სიტყვა-კაცმულ მწერლობაში წმინდა ეროვნული სულის შემოქმედება გრიშაშვილის წყალობით. და ეხლა ჩვენი მგოსნებიც გვასმენენ საკუთარს, დამოუკიდებელს სიმღერას. პაპავას „ფერების სიმღერა“ ისე შეეფერება ჟურნალ „ლეილას, როგორც დაფნის გვირგვინი გამარჯვებულს მგოსანს. და ამის შემდეგ ჩვენც აღარაფერი გვეთქმის.

მართალია, ამ მშვენიერ ჟურნალს დეფექტებიც ახლავს, რაც შინაარსს უფრო შეეხება, ვიდრე მისს გარეგან სახეს. მაგრამ ამ ნაკლზე არაფერს მოგახსენებთ; ჩემთვის წესათა მაქვს დადებული: იმ ნაწარმოებს, რომელიც ჩემის აზრით, ჩემს ძირითად მიზანს არ ეხება და არ შეეფერება, გზა აუხვიო, ხელი არ ვახლო, თუმცა შეიძლება, თავისთავად და სხვა მხრივ იგი მშვენიერიც იყოს.

გ. ჭუმბურიძე.

„თანამედროვე აზრის“ კონტინგენტი ძალიან ღარიბია, მათი გონების სისიღატაკე ცხოვრებაშიაც გამოიხატა და ყველა ვხედავთ მათ სასოწარკვეთილებას. ერთ იმედის მომგვრელ მოღვაწეს ვერ ამოვარჩენთ მათ შორის ერთ დადებით ძალას ვერ წააწყდებით და ამ შემთხვევაში მართალი იყო საბჭო — კანდელაკი, რომ რუსეთს მიაპყრეს თვალი. მაგრამ რა შუაშია აქ საქართველო და კოოპერაცია? საბჭომ უნდა აღიაროს, რომ შემი[illegible]ოვის ჩუმად მოწვევა და ადგილობრივ ძალებისათვის ზურგის შექცევა გაუსწორებელი შეცდომაა და ამ შეცდომის გასწორებისათვის თვით საბჭოსვე უნდა მიიღოს ზომა, თუ სავსებით არ დაჰკარგვია ეროვნული გრძნობა.

თედო ღლონტი.

მოწერილი ამბები

დ. ბორჯომი. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ბორჯომი და უმეტესად მისი ხეობა კულტურულად ჩამორჩენილია სხვა საქართველოს კუთხეზე. თუმცა ბორჯომი ცნობილია, როგორც სააგარაკო ადგილი, შემკული ყოველივე სიმდიდრით, მაგრამ სიბნელე და გაუნათლებლობა აქაურ მკვიდრთა შორის ჯერ-ჯერობით ძლიერ გავრცელებულია. მთელს ხეობაში ორი-სამი სასწავლებელი ძლივს მოიპოვება. სხვა სოფლებში ხალხი განათლების გზას დაადგა, აქ კი სკოლები კიდევაც იკეტება, მაგალითად სოფ. ყვიბისში ორი წლის წინად დაიკეტა სასწავლებელი და დღესაც სოფელი უსკოლოდ არის. თვით დ. ბორჯომსაც ვერ შევაქებთ განათლების მხრივ. თუმცა აქ ინტელიგენცია საკმარისია, რომ საზოგადო საქმეები აწარმოვოს, მაგრამ ყველა თავის თავზე ზრუნვას უნდება.

ექვსი წელიწადია გვაქვს ქ. შ. წ.-კ. გ. ს. განყოფილება, მაგრამ მისი არსებობა დღემდისაც უფერულია, ერთი სამკითხველოს შენახვით გამოიხატება მისი არსებობა. ხალხიც ძალიან გულგრილად ეკიდება. ძალიანაც რომ მოინდომოს გამგეობამ საზოგადო კრებაზე ვერ შეჰკრებს ოცამდე წევრს. რა უნდა გააკეთოს გამგეობამ თუ საზოგადოების მხრივ მეტი თანაგრძნობა არ ექნება.

გასულ წელს აქ დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „ზემო-ქართლი“ მოთავე ამ დაწესებულებისა ქართველები იყვნენ, მაგრამ ეხლა სხვებიც ეწერებიან. გამგეობის ერთგული მუშაობით საქმე კარგად წავიდა და თავის დროზე აწვდის წევრებს სანოვაგეს. 16 თებერვალს აქ ჩამოვიდა წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი გრიგოლია და გახსნა დაბა ბორჯომში გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა. ამოირჩიეს გამგეობაც—ზ. პ. კიკნაძე, ვ. ი. ქავთარაძე და გ. ს. ვაშაკიძე, რომელნიც ამ დღეებში შეუდგებიან საქმის მოწყობას.

ბორჯომელი.

კოოპერატიული მოძრაობა

დ. ზუგდიდი. 11 თებერვალს საქალებო სკოლის დარბაზში მოხდა ზუგდიდის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წევრთა წლიური კრება წვრილი კრედიტის ინსპექტორის ბ. ეფენდი-ზადეს თავმჯდომარეობით. ამხანაგობის თავმჯდომარის მოხსენებიდამ გამოირკვა, რომ 1 იანვრისათვის 1917 წლისა ამხანაგობას ჰქონია პასივი:

საწევრო ფულებიდამ შემდგარი ძირითადი თანხა . .	4,112 მ. 78 კ.
საკუთარი თანხა. .	549 მ. 04 კ.
ნასესხები ძირ. თანხა	2,500 მ. —
გრძელ ვადიანი სესხი	5,000 მ. —
სათადარიგო თანხა.	275 მ. 50 კ.
საგანგ. დანიშნულების	200 მ. —
შესანახ. მობარებული	12,077 მ. 16 კ.
სახელმწიფო ბანკიდან ნასესხები .	15,000 მ. —
გარდამავალი თანხები	318 მ. 06 კ.
წმინდა მოგება . .	710 მ. 86 კ.
ბალანსი . .	40,743 მ. 40 კ.
აქტივი:	
მოსკოვის სახალხო ბანკის აქცია . .	260 მ. —
% ქაღალდები სახელმწიფო სესხისა	190 მ. —
გაცემული სესხები .	39,585 მ. —
ქონება.	320 მ. —
ხელად ფული. . .	388 მ. 40 კ.
ბალანსი . .	40,743 მ. 40 კ.

ამავე დროსთვის ამხანაგობას ჰყოლია 369 წევრი 70.270 მანეთის ნდობით. კრებამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიში, ხოლო წმინდა მოგება 710 მან. 86 კაპ. გაანაწილა შემდეგ ნაირად: 284 მან. 40 კაპ. გადასდო საკუთარი ძირითადი თანხისათვის, 142 მან. 20 კაპ. სათადარიგო თანხად, 200 მანეთი მიუმატა საკუთარი სახლის ასაშენებელ ფონდს, 70 მანეთი გადასდო სახალხო სახლის ასაშენებლად დ. ზუგდიდში და 14 მან. 26 კაპ. საზოგადოება „სინათლის“ სკოლისათვის ქ. ქუთაისში.

შემდეგ კრებამ სხვათა შორის დაადგინა: აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, ნება მიეცეს ამხანაგობას აძლიოს სესხად თითოეულ წევრს 500 მანეთამდე, ხოლო ადგილობრივი მომხმარებელი საზოგადოება „ვარსკვლავს“ გაუდიდდეს ნდობა საწევრო ფულებიდამ შემდგარი თანხის ნახევრამდე, შემოღებულ იქმნას აგრეთვე საშუამავლო ოპერაციები.

ინსპექტორი ბ. ეფენდი-ზადე დაპირდა კრებას, რომ მხარს დაუჭერს მათ დადგენილებებს. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს პატივცემული პირი ერთი წელიწადია, რაც მსახურებს ზუგდიდის მაზრაში სიყვარულით ეკიდება თავის საქმეს და დიდი ამაგიც დასდო კოოპერაციის იდეის აღორძინებას ჩვენში: უკანასკნელ დროს საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვა მაზრაში 34-დე მიაღწია.

ბოლოს კრებამ მადლობა გამოუცხადა გამგეობის წევრთ პ. კეიდიას, ბ. უგულავას და გ. კვარაცხელიას ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაუნიშნა თვეში თითოს 30 მანეთი; საბჭოს წევრთ კი დაუნიშნა თვითეულ სხდომაზე დასწრებისათვის 3 მანეთი.

მი—კა.

რუსეთის ამბები

— ვაჭრობის და მრეწველობის საბჭომ ხელახლა გადასწყვიტა: საჭიროა უეჭველად მთავრობამ ნება დართოს ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა მეათე ყრილობა გამართოსო.

— მთავრობამ გადასწყვიტა კიევში საგრადანაჩალნიკო დაარსოს. აგრეთვე რიგასა და ტაგანროგსა.

— 16 თებერვალს პეტროგრადის საოლქო სასამართლოში უეცრად გარდაიცვალა სიტყვის წარმოთქმის დროს ვექილი ივაშინცევი.

— დონის როსტოვის ქალაქის საბჭოში მოხდა შემოსავლის მიხედვით გადასახადის საუბნო მმართველობის წევრთა არჩევნები. გააშავეს, სხვათა შორის დეპუტატი ხარლამოვი, ვექილი ზეელერი და „პრიაზოვსკი კრაის“ თანამშრომელი დივანოვ-ლისაგორენკო. აირჩიეს რუსის ხალხის კავშირის წევრი სოკოლოვი, რომელიც წინად ციხეში იჯდა ფულის გამოტყუებისათვის. როდესაც დასთვალეს ხმები, აღმოჩნდა, რომ ხმები ხმოსანთა რიცხვზე მეტი იყო. მოხდა ხელმეორედ არჩევნები და წინად გაშავებული პირები ყველანი ამოირჩიეს.

— ვიტებსკში მთელი ქალაქის კოოპერატივები გაერთიანდნენ, რათა სურსათ-სანოვაგის ყიდვა და შოვნა გაიადვილონ.

— ქალაქ ჩიტაში პოლიციამ ქალაქთა კავშირს მოსთხოვა: თქვენი მოსამსახურეთა სია წარმოგვიდგინე, გვაცნობეთ აგრეთვე, ვინ მოგცათ განყოფილების გახსნის ნებართვა და რა მიზეზით დაარსეთო. განყოფილება უკვე ერთი წელიწადია, რაც მოქმედებს.

— კოსტრომის ქალაქის საბჭომ სათათბიროს გახსნისას გაუგზავნა მილოცვა და ურჩევდა: იბრძოლეთ პასუხისმგებელ სამინისტროს შემოღებისთვისაო.

— ეკატერინოსლავში ლატიშების კრება მოხდა. გადასწყვიტეს ფულის შეგროვება დაიწყონ აოხრებულ სამშობლოს აღსადგენად.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელმაც სოფ. სამტრედიის ეგნატე ნინოშვილის სახელობის სამკითხველო-ბიბლიოთეკას დახმარება გაუწიეს როგორც მატერიალური ისე ზნეობრივი.

ფული შეაგროვეს ეგრედ წოდებულ „შემომწირველთა წიგნაკის“ საშუალებით შემდეგმა პირებმა: ქსენია რატიანისამ, აგრაფინა ნინუამ, თამარ მესხრიკაძემ, ელენე გელეიშვილმა, ანა ახობაძემ, ანა ანდრიაძემ, რაისა ტერ-არაქელოვმა, თამარ რატიანმა, პელაგია რევიშვილმა, ქსენია რევიშვილმა, ერმინე ირ. გელეიშვილმა, ვასილ ივ. რევიშვილმა, ლეონტი ამბ. რევიშვილმა, ლეონტი ნესტორის ძე რევიშვილმა, ვალერიანე ვას. რევიშვილმა, კლიმენტი ისიდ. რევიშვილმა, ალექსანდრე ფირ. რევიშვილმა, დავით ალ. აბულაძემ, გრიგოლ ფირ. რევიშვილმა, ვასილ ეგნ. ახობაძემ და მელქისედეკ სპ. ქართველიშვილმა.

ფულად შემოსწირეს: 25 მ. ვალიკო ვლ. თევზაძემ, ლეონტი და თამარა რევიშვილებმა, 16 მან. დიმიტრი ნიკ. შილაკაძემ, 11 მ. თეოფილე დავ. რევიშვილმა, ათ-ათი მანეთი: ივანე გრ. რევიშვილმა, ლეონტი ამბაკ. რევიშვილმა, ვარლამ გაბუნიამ, სევერიანე სპ. ჯანელიძემ და ელისო კალანდაძემ. 7 მ. პეტრე სპირიდ. რევიშვილმა. 6 მან. ვიქტორ ირ. გიგინეიშვილმა. ხუთ-ხუთი მან.: თედორე ცხომელიძემ, კირილე დიმ. რევიშვილმა და ილია გაბისონიამ. ოთხმანათ ნახევარი: მელქისედეკ სპ. ქართველიშვილმა. სამ-სამი მან.: იუსტინე პორფ. რევიშვილმა, გიორგი პორფ. რევიშვილმა, მაქსიმე კალანდარიამ, სიმონ საკაშვილმა, აგრაფინა პეპინაძისამ, გოგოლაშვილმა, დანიელ ქინქლაძემ, ლევან ნაცვალოვმა, ქ. ავალიანმა, პროკოპი გელეიშვილმა და ივანე ალ. ჩაჩუამ. ორ მანეთ-ნახევარი: X-მა, ლ. მატარაძემ. თორმეტი აბაზი — უცნობმა. ორ-ორი მანეთი: აგრაფინა ნინუამ, სოფ. ტობანიერის სამკითხველომ, მამალაძემ და ბერძნიშვილმა, კოლია კვანტალიანმა, ბიქტორ ნიკოლეიშვილმა, ვასილ ხარებავამ, პ. კაკაბაძემ, ერვანდი ავაკოვმა, პეტრე ცომაიამ, ი. იაშვილმა, იოსებ ვას. ბუკუვამ და მიხაკო ირაკ. გელეიშვილმა. მანეთნახევარი: X-მა, ვლ. ივარდვამ, ვ. მიქაძემ, ალექსანდრე კორძაიამ, კოტე სილ. ხუნდაძემ და ალექსი ბახტაძემ. თითო მანეთი: ნესტორ კიკაჩეიშვილმა, პორფირე ჭეიშვილმა, მიტროფანე გელეიშვილმა, ივანე ტერ-არაქელოვმა, მ. ბახტაძემ, ილია თევზაძემ, ვალერიანე რევიშვილმა, მოსე ბერძნიშვილმა, ა. დუნდუამ, თ. ჩომახიძემ, პ. ძიძიგურმა, პ. მეგრელიშვილმა, ქ. რუხაძემ, კოლია გეორგაიამ, ქ. დუნდუამ, ილია ჯაშმა, დავით ლეჟავამ, ნ. მეგენეიშვილმა, ი. გიგინეიშვილმა, მ. ადეიშვილმა, იზმაილ მირზაევმა, სევერიანე ლეკვეიშვილმა, ც. ქაჯაიამ, აქსენტი ნაჭყებიამ, ს. გაბუნიამ, ქ. კრავეიშვილმა, ქ. პაპავამ, ლ. პაპავამ, ქ. კანდელაკმა, ს. შენგელიამ, ს. ბახტაძემ, ნ. ნიკოლეიშვილმა, ა. ახობაძემ, რ. ახობაძემ, მ. სტურუამ, ბახტაძემ, ს. შტეინბერგმა, ვლასი რევიშვილმა, ვალოდია გიორგაძემ, რაისა ტერ-არაქელოვმა, პოლიკარპე ჯანელიძემ, კ. ქლენტმა, გოგ. ქუთათელაძემ, მარ. ვარდენაშვილმა, მიხ. ელიავამ, ელ. კაკაბაძემ, ირინე ტაბიძემ, გ. კიკვიძემ, ნინო თოდუამ, მარგველაძისამ, დ. სტურუამ, მ. აფხაზარიძემ, ვლ. ქლენტმა, ილია ბახტაძემ, ე. გუგუშვილმა, ბ. ცომაიამ, თომა კობალეიშვილმა, დ. შარაშენიძემ, ბ. ელიავამ, ს. ცომაიამ, ა. ცომაიამ, გ. ნიკურაძემ, ვერა ბახტაძემ, ანდ. ქართველიშვილმა, ანა ახობაძემ, ბ. პატარიძემ, ვალიკო ხარებავამ, ნოე ჩხეიძემ, ს. კარკალაიამ, პრ. კანდელაკმა, გრ. ჯულელმა, კალინიკა ცქიტინაძემ, მარია ჩიჩუამ, ანასტასია ზვანზარიამ, დ. გვარამაძემ, ლადო ხომერიკმა, შ. მიქაშავიძემ, მიტ. კახელმა, ირ. დოლიძემ, გრ. ჭელიძემ, დ. კალანდაძემ, ს. გვათუამ, ს. გოგიბერიძემ, ნოე გორდელაძემ, დ. ფრანგიშვილმა, ვლ. სიხარულიძემ, გ. ჯანდიერმა, ი. ბურჭულაძემ, შალ. წურკავამ, ვ. კახიანმა, ქ. კახიანმა, ბარბალე არგველაძისამ, გ. გვერდწითელმა, კოწია ერისთავმა, ტარიელ ასათიანმა, როსტომ ჩიქვაიძემ, თამარა ბაჰრაძემ, ქ. გულდედავამ, ოლია ლორთქიფანიძემ, პასიკო ლორთქიფანიძემ, აქვ. კვარცხელიამ, იოს. ჩიჯავაძემ, პ. კახიანმა, ს. ჟორდანიამ, თამარა ვეფხვაძემ, ვარო არველაძემ, ა. ქაჯაიამ და ვ. ნიკურაძემ. 80 კ. რაფ. რამიშვილმა. 60 კ. ა. რევიშვილმა. ათ-ათი შაური: ი. პაპავამ, ს. ჩიგოგიძემ, პ. დევიძემ, დ. მანჯგალაძემ, ა. კალაძემ, ა. სტურუამ, თ. კოპალეიშვილმა, მ. ახობაძემ, ილიკომ გ. ნაცვლიშვილმა, რ. ამაღლობელმა, ა. ჩაჩუამ, გ. ბერაძემ, მიხაკომ, ლ. ჯაფარიძემ, თ. თედორაძემ, ბ. ჩიქვაიძემ, ქ. კიკვაძემ, ნ. დონაძემ, ს. ქოიავამ, ი. ცანავამ, ს. ჭაუტიძემ, ვ. ნინუამ, მ. ბუკუჩავამ, გრ. ნაცვლიშვილმა, დ. აბულაძემ, გ. გრ. რევიშვილმა, ა. ადეიშვილმა, ს. მამფორიამ, მომფერაძემ, ვ. კოპალეიშვილმა, ვ. კახიანმა, მ. რატიანმა, ეფრ. ჯანელიძემ, გ. ნიკურაძემ, შ. ლორთქიფანიძემ, ქსენია რევიშვილმა, პელაგია რევიშვილმა, ანნა ანდრიაძემ, გ. კლდიაშვილმა, ა. ნამიჭეიშვილმა, ს. მახარაძემ, პრ. შათირიშვილმა, ლ. ახობაძემ, ნ. მანილოვიჩმა, ა. აბდალაძემ, კატო მიქაძემ, ნ. მარიახინისამ, ნ. იობაძემ, ნ. ცომაიამ, ოლია ცომაიამ, ს. ქათამაძემ, ნ. ნინიძემ, დ. ჩხიკვიშვილმა, ი. ცაბაძემ, ს. გეგეჭკორმა, ვ. ჩხეიძემ, ს. კახიანმა, ვლ. გაგუამ, ქ. ჯანიაშვილმა, მ. გოგვაძემ, ი. ფაილაძემ, თ. ტუღუშიმ, მ. ქლენტმა, გარეგინ ბაბაევმა, ვართან ევდოგარიანცმა, აგრაფინა ბარათაშვილმა, ლიდა ქაჯაიამ, ს. მაჭარაშვილმა, ლ. მაჭარაშვილმა, მარო ნუცუბიძემ, გალინა მეფარიშვილმა, ს. შილაკაძემ, ,. შუბლაძემ, მღ. პ. შენგელიამ, ვლ. კვინიკიძემ, ა. რუხაძემ, ვ. ახობაძემ, ეპ. გალდავამ, ა. ჩაჩავამ, ა. ადეიშვილმა, ს. კლდიაშვილმა, ტ. თოკურაძემ, დ. ნუცუბიძემ, ბ. ჩხენკელმა და ი. თევდორაძემ. ორ-ორი აბაზი: ი. რევიშვილმა, ლ. ხუციშვილმა და ა. კანდელაკმა. ექვს-ექვსი შაური: გ. თევზაძემ, X-მა, მ. ბ., ქ. სტურუამ, ს. მშვიდობაძემ, მ. ტორონჯაძემ და ნ. ცხატაძემ. ხუთი შაური პ. ხაჭატურიანცმა. თითო აბაზი: ბ. გეგიამ, ა. რევიშვილმა, ქ. კრავეიშვილმა, ლ. ბერაძემ, ტრ. კანკავაძემ, ს. აკოპოვმა, პ. პეტროსიანცმა, კონსტ. კუზმიჩ ბესედინმა, ვ. ბაბილჩენკომ, პ. კოპლატაძემ, გ. ბეკურაშვილმა, ა. ტომკაძემ, ი. გოგიტაძემ, ა. ჯღეიამ, ა. ნადირაძემ, მ. ჭ.-მ, თედორე გოთფრიდ ანდრდმა, ს. ჩარჩავამ, ა. ჯიჯილავამ და ნ. ცომაიამ. სამი შაური ლ. ჭუბაბრიამ, შაური ი. ახობაძემ.

წიგნები და სხვა საჭირო ნივთები სამკითხველოსთვის შემოსწირეს: ვასილ ივ. რევიშვილმა 100 წიგნი საუკეთესო ნიმუშები ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან და ისტორია-ეთნოგრაფიიდან და ეგნატე ნინოშვილის სურათი დიდი ფორმატისა, ჩასმული მხატვრულ ჩარჩოში, ღირებული ორივე— 83 მან. 30 კ., მარიამ რატიანისამ 11 წიგ. და ერთი მარმარილოს სამელნე ღირ. 21—55 კაპ., კოლია კვერნაძემ 35 წიგნი, ღირ. 13—65 კ., ანეტა სიხარულიძისამ 1916 წ. 8 თვის გაზეთი „მეგობარი“, 1917 წ. მთელი წლით გაზ. „ჩვენი მეგობარი“ და 8 წიგნი, ღირ. ყველა 30—20 კ., პორფირე რევიშვილმა 8 წიგნი, ღირ. 12—35 კ., ირინა კალაძისამ „კვალი“, 1889 წ. და 1 წ., ღირ. 7—10 კ., კანტორა „განთიადმა“ 16 წიგნი, ღირ. 6—15 კ., სიმონ ს. ქართველიშვილმა ერთი დასაკიდებელი ლამფა, ღირებ. 8 მან., სიმონ იოს. ქართველიშვილმა 1916 წ. „ეშმაკის მათრახი“ და გაზ. „ზვირთი“, ღირ. 7—50 კ., კირილე რევიშვილმა 13 წიგ., ღირ. 13 მან., რუსუდანა ანტიოხ სტურუას ასულმა 1916 წ. გაზ. „საქართველო“, ღირ. 9 მან., ვასილ ეგნატ. ახობაძემ გაზ. „კვალი“ და ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ 1916 წ. და ერთი დიდი რუქა ევროპისა, ღირ. 8—50 კ., გრიგოლ რევიშვილმა გაზ. „თან. აზრი“ 5 თვით, ღირ. 4 მ. 50 კ., დაბა სამტრედიის ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგად. განყოფილებამ 1916 წ. „სახ. ფურცელი“ და 1917 წ. „თანამ. აზრი“ და ჟურნ. „განათლება“. ღირ. 34—50 კ., ექვთიმე დავ. რევიშვილმა 1916 წ. გაზ. „თან. აზრი“, ღირ. 8 მ., ალექსანდრე ფირდ. რევიშვილმა 1917 წ. გაზ. „საქართველო“, ღირ. 21—60 კ., სტეფანე არს. გელეიშვილმა „ჯეჯილი“ და „ნაკადული,“ 1917 წ., ღირ. 11 მ., იაკობ ტრ. რევიშვილმა ერთი ე. ღირ. 8 მ., ვ. გუგუნავამ 1 წიგნი, ღირ. 1—50 კ., დ. აბულაძემ 9 წიგ., ღირ. 1—50 კ., პარასკ. ქართველიშვილმა 1 წ., ღირ. 1—50 კ., ლეონტი ნესტ. რევიშვილმა 10 წ., ღირ. 4 მ., რაისა ტერ-არაქელოვმა 1 წიგ., 60 კ., აკაკი კალაძემ აკაკისა და შოთას სურათები ჩარჩოებში ღირ. 6 მ., კატო მიქაძემ ევდოშვილის სურათი, ღირ. 50 კ., ფატმან რატიანისამ ვაჟას სურათი, ღირ. 1 მ., ამბაკო რევიშვილმა ერთი სელის სკამი, ღირ. 3 მან., ნესტორ მინ. ვერულეიშვილმა 3 „ტაბურეტკა“ სკამი, ღირ. 5 მ., კლ. გელეიშვილმა 9 წიგნი, ღირ. 4—10 კ., ბ-ნ X-მა 11 წიგ. ღირ. 4 მ., გიორგი სიხარულიძემ 1 წ., ღირ. 25 კაპ., მღ. ბესარიონ გელეიშვილმა 2 წიგ., ღირ. 55 კ., ლ. ქართველიშვილმა 8 წ. ღირ. 3 მან., ელისო კალანდაძემ ნოე ჟორდანიას სურათი, კარგ ჩარჩოში, ღირ. 5—55 კ., ერმალოზ პაპავამ 3 მ. ფულად, ტარასი ზომბახიძემ 6 თვით სახლი დაუთმო სამკითხველოს უფასოდ, ვალერიანე ვას. რევიშვილმა 7 თვით სახლი დაუთმო სამკითხველოს უფასოდ, თამარა რატიანმა და კატო პატარიძის ქალმა სამ-სამი თვე იმსახურეს სამკითხველოში უსასყიდლოდ.

ყველა ზემოხსენებულ პირთ სამკითხველოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის მათ გულუხვ შემოწირულებისათვის.

პატივც. სოფ. სამტრედიის სამკითხველოს გამგეობა.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

დღეს:

ახალი კლუბი. სინემატ. და ორკესტ.

სახაზინო თეატრი. ოპერა. პიკოვაია დამა.

არტისტ. საზ. რუსული დრამა.

ცირკი ეფიმოვებისა. საცირკო წარმოდგენა და ჭიდაობა.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13
თელავისაკენ		№ 4,	9
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52
„	საფ.	№ 4,	8.38
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48
ბაქოიდან	საფ.	№ 3,	10.08
„	სამგზ.	№ 7,	4.12
„	ჩქარ.	№ 5,	8.48
გორიდან	სამგზ. .	. .	6.34
თელავიდან	. .	№ 3,	6.24

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“

ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული. (სიფილის ავადმყ.)

ბ. გ. აგახაროვი: 9½, 2 ს. ბავშ შინაგანი ავადმყ.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთი:

ა ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.
1057

დავკარგე
ეკატერინოდარიდან 8 თებერვალს მომავალმა, სოფელ კარდანახის მცხოვრებმა
წიგნაკი,
რომელშიაც იყო გასავლის (პროხოდნოე) მოწმობა და ორმოცი თუმნის ვექსილი ზაქარია მამულაშვილის ხელმოწერილი. ვთხოვ, ვინც იპოვა ან იპოვოს, გამოგზავნოს ტფილისში, რუსის ქ., № 3, ძმ. ჯანაშვილების ღვინის საწყობში, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს.
235 ანტონ გიორგის ძე ალავიძე.

კავკასიის მუშათა ბატალიონის
უფროსი
მოუწოდებს „ფოდრაჩიკებს“, ვისაც შეუძლია ჯარის კაცებისათვის სანოვაგის: ხორცის, ქონის და მწვანეულობის მოწოდება.
ვისაც ჰსურს ამ საქმის აღება, გამოცხადდეს დ. ზესტაფონში, ქუთაისის გუბერნ. 9 მარტს, დილის 10 ს., მუშათა ბრიგადის სამმართველოში. 231

თევზის მრეწველნი
ძმ. ძე[illegible]ველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის **ხიზილალა**, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ **ხიზილალა.** მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შემაიები.** მუდმივ გვაქვს **ცოცხალი**, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის **ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო.** გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. **ხანგრძლივ ინახება.** 1035

სუსუნატით (ჭინჭარეა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისთვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძინენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება **„ურიტალი“**. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელათ მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისათვის სჭირდება ექვსი ფლაკონი დაძველებულ ათი ფლაკონი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**
За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1.** на противъ Государственнаго Банка.

Дозволено военною цензурою

სტამბა „ქართლი“ მ. ი. ცაცუშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა